ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba
akhalitaoba.ge

ოთხშაბათი, 3 მარტი, 2021 №33 (8562) ფასი: 60 თეთრი

## „მელაშვილს და ილიჩოვას სახელმწიფო ბოდიშს აუცილებლად მოუხდის“

ადვოკატ მშვენიერაძის განცხადება


გვ.5


გვ.5

## „მითხარი, ვისთან მიღალატე!“

გ.ხ. ცოლს ფეხებს ურტყამდა, ბოლოს კი ცივი შხაპის ქვეშ დააყენა

# „ნიკა მელიას ორ-სამ დღეში გაათავისუფლებენ“


გვ.2

## კახა კუკავა: „ქართულ ოცნებას“ ორკვირიანი ვადა აქვს მიცემული“



## „მიშელმა თავი ღარიბაშვილისგან გადაგდებულად უნდა იგრძნოს“



გია ხუხაშვილი: „ოცნებას“ უნდა, რომ თავით ანუ მენტალურად რუსეთში იყოს და ერთი ადგილი ევროპაში გაითბოს“


გვ.3

## „ოცნებას“ პრობლემები ვაშინგტონიდან ელის“




გვ.3

სოსო ცინცაძე: „ღარიბაშვილის განცხადება ცუდად მენიშნა. „ქართული ოცნება“ არ არის მზად დათმობისთვის“

## „საქართველოს პოლიტიკური კრიზისი მთელმა მსოფლიომ აღიარა“


გვ.4

თამარ ჩხეიძე: „რიგგარეშე არჩევნები დღის წესრიგიდან არ უნდა მოიხსნას“

## მამუკა მდინარაძე: „ოპოზიციის კონსტრუქციულ ნაბიჯს ვერ დამისახელებთ“


გვ.2

## სალომე ზურაბიშვილი: „კარგად არ არის გააზრებული, რა მოხდა ორბელიანების სასახლეში“


გვ.4

ISSN 1987-9385
9 771987 938006

2 ღარიბაშვილი: „ვადამდელი არჩევნების საფუძველი არ არსებობს“

5 არჩილ გაგნიძე: „გიორგის დედა მკვლელს მეძახის, რადგან თქვენ ტყუილში დააჯერეთ“

5 თამარაშვილზე იარაღი იპოვეს
დაკავებულია 1 პირი

6 აშშ-მ რუსეთს ნავალნის დაპატიმრებისთვის სანქციები დაუწესა

# „ნიკა მელიას ორ-სამ დღეში გაათავისუფლებენ“

## კახა კუკავა: „ქართულ ოცნებას“ ორკვირიანი ვადა აქვს მიცემული“

ნონა ცაბაძე

**„ახალი თაობის“ კითხვებს „თავისუფალი საქართველოს“ ლიდერი კახა კუკავა პასუხობს.**



***– ბატონო კახა, როგორ აფასებთ ბოლო პერიოდის პოლიტიკურ პროცესებს? შარლ მიშელის ვიზიტმა არსებული რეალობა შეცვალაო. შეხვედრა შედგა ოპოზიციასა და პრემიერს შორის მიშელის შუამავლობით, მაგრამ დღეს ისევ არაადეკვატური განცხადებები გვესმის ხელისუფლების წარმომადგენლების მხრიდან. მდინარაძე აცხადებს, არაფერზე შევთანხმებულვართ, არანაირი ჩარჩო-ხელშეკრულება არ არსებობსო. რას იტყვით თქვენ?***

– ფორმალურად ეს მართალია, ოფიციალური შეთანხმება არ შემდგარა, თუმცა გასაგებია, რომ ორკვირიანი ვადა აქვს მიცემული „ქართულ ოცნებას“.

***– ეს ცოტა დრო ხომ არ არის?***

– სრულიად საკმარისია. მათ რეალურად ღილაკზე თითის დაჭერა ევალებათ, მეტი არაფერი. მე ვფიქრობ, რომ შეთანხმება 99%-ით შედგება. თუ ის 1% გამართლდება და შეთანხმება არ შედგება, მაშინ ამოქმედდება სანქციები და უკვე ტრიბუნალი დაკავდება „ქართული ოცნების“ საქმეებით და არა შარლ მიშელი. რაც შეეხება იმას, თუ რატომ აკეთებს მდინარაძე ამ განცხადებებს, დასავლეთ საქართველოში ადამიანი რომ მოკვდება, ოჯახში ცუდი ამბის მისატანად მთელი დიპლომატიისა და დელიკატურობის გამოვლენა უწევს ხოლმე ამბის მიმტანს. ახლა, ბუნებრივია, როცა „ქართული ოცნება“ კაპიტულაციისათვის ემზადება, ცდილობენ, ნელ-ნელა შეაპარონ ეს ამბავი საკუთარ პოლიტსაბჭოსა და აქტივს. რატომ? იმიტომ, რომ „ქართული ოცნების“ წევრების 99% არის უპრინციპო, უდროო მედროვე, რომლებიც როგორც კი გაარკვევენ, რომ „ქართული ოცნება“ მიდის კაპიტულაციაზე, პარტიას დატოვებენ. რეალურად „ქართულმა ოცნებამ“, შესაძლოა, ბარიერიც კი ვერ გადალახოს მომდევნო არჩევნებში. ამიტომაც „ქართული ოცნების“ ხელმძღვანელობა ცდილობს, რამენაირად შეფუთოს ეს კაპიტულაცია.

***– ითქვა ისიც, რომ თითქოს ოპოზიციაც უკან იხევს და ვადამდელ არჩევნებს აღარ ითხოვს. ასეა?***

– არა, ასე არ არის. აქ საუბარია რამდენიმე პარტიის პოზიციაზე, „ლელოსა“ და გიორგი ვაშაძეზე, რომლებიც ითხოვენ არა არჩევნებს, არამედ პლებისციტს. „ლელო“ ამბობს, არჩევნები ჩავატაროთ 2022-შიო, ხოლო ვაშაძე ამბობს, ჩავატაროთ პლებისციტიო. აი, ამაზეა საუბარი. საბოლოო ჯამში, ესეც ვადამდელისკენ მიმავალი გზაა, თუმცა ამ პოზიციას ოპოზიციური პარტიების დიდი უმრავლესობა არ იზიარებს.

***– რას იტყვით გუშინდელ შეხვედრაზე? რატომ იყო მხოლოდ ირაკლი ღარიბაშვილი და არ იყო პარტიის თავმჯდომარე ირაკლი კობახიძე? რა ხდება?***

– ხდება ის, რის შესახებაც მე ბოლო პერიოდში ვსაუბრობ. ივანიშვილი და მისი გარემოცვა, რომელთან ერთადაც ის იღებს ამ გადაწყვეტილებებს, არიან, უბრალოდ, ერთუჯრედიანი ადამიანები. ესენი თავის დროზე იყვნენ შევარდნაძის მრჩევლებიც და ასეთი მტკიცებით, რომ არ დათმო არაფერი, არ დათმო არაფერი, ის ხელისუფლებაც შეიყვანეს კრიზისში და ეს ხელისუფლებაც მიიყვანეს სრულ კატასტროფამდე. კობახიძეს არა აქვს გამოსაჩენი პირი ახლა.

***– რატომ?***

– იმიტომ, რომ კობახიძისა და კიდევ რამდენიმე ადამიანის კონცეფცია, როდესაც „ოცნების“ ლიდერშიპი იკრიბებოდა, იყო ასეთი, რომ ოპოზიცია არის სრული არარაობა. პრინციპში, საჯაროდაც ამბობენ, რომ ესენი არიან კრიმინალები და ტერორისტები. ისინი უნდა მოვსპოთ, მათ არაფერი არ უნდა დავუთმოთ და საერთოდ ყურადღება არ უნდა მივაქციოთო. აი, ეს იყო მათი კონცეფცია. ახლა გაირკვა, რომ დიამეტრულად საწინააღმდეგოდ არის ყველაფერი. „ქართული ოცნება“ ან გამოაცხადებს კაპიტულაციას, ან დაეკისრებათ საერთაშორისო სანქციები. ივანიშვილის მილიარდებიდან კი დარჩება ორი შაური.

***– შარლ მიშელის ვიზიტი ამას ნიშნავდა, თუ არ დაგვიჯერებთ, მიიღებთ სანქციებსო?***

– შარლ მიშელი წარმოადგენს დიალოგის ხაზს. შარლ მიშელი ამ საერთაშორისო თანამეგობრობის ერთ-ერთი წევრია. ის გამოაგზავნეს ამ ფუნქციით. თუ არ შედგება მოლაპარაკება, სანქციები შარლ მიშელს არ ეხება. სანქციები სხვა მხარესა და სხვა ინსტიტუტებს ეხება, უფრო – ამერიკულ მხარეს. როდესაც შარლ მიშელის სახელი და გვარი გახმიანდა, რამდენიმე ოპოზიციონერმა სკეპტიციზმიც კი გამოთქვა, ის იმდენად რბილია. იყო დიდი ეჭვები იმასთან დაკავშირებით, რამდენად შეძლებს ხელისუფლებაზე ზეწოლასო, ანუ შარლ მიშელი იყო ყველაზე რბილი ფორმა ხელისუფლებაზე ზეწოლის. თუ ისინი ამ კაპიტულაციას დროზე არ გამოაცხადებენ, რა თქმა უნდა, აქ ჩაერთვებიან ბევრად უფრო ხისტი პერსონები. ამერიკელი პოლიტიკოსების პოზიცია ივანიშვილის რეჟიმთან მიმართებით ბევრად უფრო ხისტია, ვიდრე შარლ მიშელის.

**„თუ ხელისუფლება დასთანხმდა პლებისციტს შემოდგომაზე და არჩევნები დაინიშნა 2022 წლის გაზაფხულზე, ეს იმას ნიშნავს, რომ კიდევ ერთი წელი ქვეყანას არ ეყოლება მთავრობა. ეს ნიშნავს იმას, რომ დოლარი გახდება 7 ლარი. ეს ნიშნავს იმას, რომ უმუშევრობა გაორმაგდება და ვაქცინაციაზე საუბარი საერთოდ ზედმეტია“**

***– რა ფორმა უნდა მოძებნოს ახლა ხელისუფლებამ, რომ იგივე ნიკა მელია გამოუშვას და დაიწყოს იმ მოთხოვნების დაკმაყოფილება, რომლებიც გაჟღერდა?***

– იურიდიულად ეს არანაირი პრობლემა არ არის. მათ პრობლემა აქვთ ახლა პიარულად, ამ ყველაფრის შემდეგ როგორ „გააპრავონ“ ეს სიტუაცია. ყურშა გაყოყოჩდა მახსენდება ღარიბაშვილის ქმედებებზე. გაყოყოჩებული ღარიბაშვილი ხელ-ფეხს იხსნის და საკუთარი მომხრეებიც ცუდ დღეში ჩააგდო. ახლა მისი ტროლები და ბოტები ნელ-ნელა უნდა გადმობარგდნენ ოპოზიციაში. აი, ეს პრობლემაა, თორემ სამართლებრივად არანაირი პრობლემა არ არის.

***– პროცესების როგორ განვითარებას ელით?***

– ამ ეტაპზე შეიძლება ვივარაუდოთ, რომ რამდენიმე დღეში მელიას გაათავისუფლებენ. რაც შეეხება არჩევნების თემას, არჩევნების თემაც გადაწყდება ძალიან მალე, უახლოეს ორ კვირაში. ასევე ორ კვირაში გახდება ცნობილი, თუ რა პროექტი დაიდება. დღეს ხელისუფლებაში, სამწუხაროდ, ძალიან ცოტაა სახელმწიფოებრივად მოაზროვნე ხალხი. თუ პლებისციტს დასთანხმდებიან, ივანიშვილის თოჯინებს არ ესმით, რომ ეს საკითხის კიდევ უფრო გადადებას ნიშნავს. რაც უფრო მეტია გაურკვევლობა, მით უფრო გაუფასურდება ლარი, მით უფრო ნაკლები ინვესტიცია შემოვა ქვეყანაში და ზოგადად გაურკვევლობა ცუდად აისახება ქვეყნის პოლიტიკაზეც და ეკონომიკაზეც. რაც უფრო სწრაფად მთავრდება არჩევნები, მით უკეთესია. თუ დასთანხმდნენ პლებისციტს შემოდგომაზე და არჩევნები დაინიშნა 2022 წლის გაზაფხულზე, ეს ნიშნავს იმას, რომ კიდევ ერთი წელი ქვეყანას არ ეყოლება მთავრობა. ეს ნიშნავს იმას, რომ დოლარი გახდება 7 ლარი. ეს ნიშნავს იმას, რომ უმუშევრობა გაორმაგდება და ვაქცინაციაზე საუბარი საერთოდ ზედმეტია.

***– როდის უნდა იყოს ვადამდელი არჩევნები, რის მომხრე ხართ?***

– მე მხარს დავუჭერდი, რომ არჩევნები იყოს წელს, გვიან გაზაფხულზე, უკიდურეს შემთხვევაში – შემოდგომაზე.

***– ადგილობრივ არჩევნებთან ერთად?***

– მე არა მგონია, რომ ადგილობრივი არჩევნების გადადების წინააღმდეგი ვინმე იყოს. შეიძლება, ადგილობრივი არჩევნები გადაიდოს 6 თვით და ადგილობრივი არჩევნების ნაცვლად შემოდგომაზე ჩატარდეს საპარლამენტო არჩევნები. დღეს ორი ლაწირაკი განაგებს კრიზისში მყოფ ქვეყანას. ხომ გესმით, ეს რაც არის!

***– კობახიძესა და ღარიბაშვილს გულისხმობთ?***

– კობახიძე, ღარიბაშვილი და ის მანიაკი, რომელიც სადღაც არის ახლა შემძვრალი, რომელიღაც სოროში და ხან იძლევა ხისტ დავალებებს, მიდით, დაიჭირეთ ყველაო, ხან დამფრთხალია, საერთოდ იმალება და ამბობს, აღარ დამირეკოთო. მე ველოდები ვადამდელ არჩევნებს. ის, რაც არ ესმის საქართველოს მთავრობას, ძალიან კარგად ესმით საერთაშორისო პარტნიორებს, რომ ქვეყანას სჭირდება მთავრობა, რომელიც იქნება უნარიანი, რომლის სიტყვასაც ექნება ფასი, რომელსაც შეუძლია გადაწყვეტილების აღსრულება. პარლამენტის პიკეტზე ვიყავი მეც გუშინ დილით და, როგორ უნდა ელაპარაკო მთავრობას, რომელსაც საკუთარ კაბინეტებში შესასვლელად 400 პოლიციელის ესკორტი სჭირდება. როგორც ვირთხა სოროში, ისე მიძვრებიან საკუთარ კაბინეტებში. ასეთი ქვეყანა და ასეთი ხელისუფლება პარტნიორი ვერ არის. მათ სჭირდებათ სტაბილური მთავრობა. ამ მთავრობაში არიან შედარებით რაციონალური და ადეკვატური ადამიანები.

***– კერძოდ?***

– თუნდაც კალაძე. მე მასზე მზე და მთვარე არ ამომდის, მაგრამ დროა, მათ გამოიჩინონ მეტი რაციონალურობა და ეს ორი ჩამოაცილონ იმ ბერკეტებს, რომლებითაც მათ შეუძლიათ ქვეყნის დესტაბილიზაცია. კალაძემ და კიდევ რამდენიმემ თავიანთი პასიურობით ქვეყანას უკვე მიაყენეს ზარალი და ახლა დროა, ცოდვები გამოისყიდონ. ამის გასაკეთებლად სულ რამდენიმე კვირა აქვთ.

# ღარიბაშვილი: „ვადამდელი არჩევნების საფუძველი არ არსებობს“

გუშინ, 2 მარტს, პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა განაცხადა, რომ ქვეყანაში ვადამდელი არჩევნების ჩატარების მოთხოვნის არავითარი ლეგიტიმური საფუძველი არ არსებობს.

როგორც პრემიერმა აღნიშნა, ეს საკითხი წითელი ხაზია.

– ჩვენი პრინციპული პოზიცია ვადამდელ არჩევნებთან დაკავშირებით არის უცვლელი, ეს არის წითელი ხაზი, საკითხი, რომელიც არ განიხილება და მე ეს გუშინ შეხვედრაზე დავაფიქსირე, რომ არავითარი ლეგიტიმური საფუძველი ვადამდელი არჩევნების მოთხოვნის არ არსებობს ქვეყანაში, – განაცხადა ირაკლი ღარიბაშვილმა.

ამ განცხადების გაკეთებამდე პრემიერ-მინისტრი საქართველოს საპატრიარქოში კათოლიკოს– პატრიარქ ილია მეორესთან შეხვედრაზე იმყოფებოდა.

# სუსის ხელმძღვანელის მოადგილე ალექსანდრე ხოჯევანიშვილი გადადგა

გუშინ, 2 მარტს, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ხელმძღვანელის მოადგილე ალექსანდრე ხოჯევანიშვილმა თანამდებობა დატოვა.

ალექსანდრე ხოჯევანიშვილი სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსის მოადგილის პოსტზე 2019 წელს დაინიშნა.

ალექსანდრე ხოჯევანიშვილის მიერ თანამდებობის დატოვებას მისი ძმა, დეპუტატი გიორგი ხოჯევანიშვილი პირადი მიზეზებით ხსნის.

კითხვაზე, ხომ არ არის ეს დაკავშირებული გიორგი გახარიას კადრების გადინებასთან, ხოჯევანიშვილი აცხადებს, რომ ეს პოლიტიკურ მიზეზებთან დაკავშირებული არ არის.

– ჩემი ძმა იყო ყოველთვის სახელმწიფოებრივად მოაზროვნე სახელმწიფო მოხელე. ეს იყო მისი პირადი გადაწყვეტილება და არ უკავშირდება არანაირად პოლიტიკას, შესაბამისად, მე ვრჩები იქ, სადაც ვარ, – განაცხადა ხოჯევანიშვილმა ჟურნალისტებთან.

# მამუკა მდინარაძე: „ოპოზიციის კონსტრუქციულ ნაბიჯს ვერ დამისახელებთ“

– დღემდე ვერ დამისახელებთ ვერც ერთ ნაბიჯს ან წინადადებას ოპოზიციის მხრიდან, რაც შეიძლება ჩაითვალოს კონსტრუქციულად და კომპრომისულ სვლად. კარგი ის არის, რომ მათ უკვე მოუწევთ ამის გაკეთება.

აღნიშნული განცხადება ფრაქცია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარე მამუკა მდინარაძემ გააკეთა.

მისივე განმარტებით, ოპოზიციის მხრიდან რაღაც სპექტაკლების დადგმა და საზოგადოების შეცდომაში შეყვანა არ არის სწორი დამოკიდებულება, ამ შემთხვევაში სწორი დამოკიდებულება შეთანხმებისკენ სწრაფვაა.

– 1 მარტს ვითომ გახარებული სახეებით რომ გამოვიდნენ, დადგეს, შეთანხმდნენ, მოდით, გარეთ გავიდეთ გახარებული სახეებითო. ჩვენ უნდა გაგვიხარდეს ყველას ერთად, როცა შეთანხმებას მივაღწევთ და ეს იქნება კარგი ქვეყნისთვის. რას დადგამენ საღამოს სპექტაკლს – „ქართული ოცნების“ მხრიდან ერთი ადამიანი, პრემიერ-მინისტრი იყო, რომელიც ყველა ეთერში ვერ იქნებოდა და ჩვენ ბევრნი ვართ, მოდით ყველაფერს მოვედოთ და რაღაც მოვატყუოთ ხალხს, არ არის ეს სწორი დამოკიდებულება. შეთანხმებისკენ სწრაფვაა, ამ შემთხვევაში, სწორი დამოკიდებულება.

დღემდე ვერ დამისახელებთ ვერც ერთ ნაბიჯს ან წინადადებას მათი მხრიდან, რაც შეიძლება ჩაითვალოს კონსტრუქციულად და კომპრომისულ სვლად. მათ მოუწევთ უკვე ამის გაკეთება, კარგი ამ ყველაფერში მოხდა ის, რომ ისინი ხვდებიან, რომ მათ უწევთ კომპრომისულ ნაბიჯზე, ერთზე მაინც, წამოვიდნენ და შემდეგ უკვე გადაკვეთის წერტილები შედარებით ადვილი საპოვნელია, – განაცხადა მდინარაძემ.



მისივე შეფასებით, ძალიან ცუდი ფაქტია, როდესაც შეთანხმებიდან და მოლაპარაკებების ახალი ეტაპის დაწყებიდან რამდენიმე საათში ოპოზიცია მაინც გადავიდა პარლამენტის პიკეტირებაზე.

– ოპოზიციამ ტელევიზორში თუ არ ნახა, რას სჩადიან, თვითონ ისე ვერ აფასებენ რეალურად მოვლენებს. როცა კადრები ნახეს, ეტყობა, მიხვდნენ, რომ პიკეტირება არ ვარგა და არ შეიძლება კონსტიტუციურ ნაბიჯად ჩაითვალოს და შემდეგ იძახონ, რომ კი კონსტრუქციულები ვართ, მაგრამ პიკეტირებას ვაკეთებთო. არავის დაუძალებია მათთვის სიტყვა პიკეტირების ხსენება და შემდეგ აღსრულება ამ თავისი ნათქვამის, შესაბამისად.

მაშინ, როდესაც ყველა გვთხოვს და მოგვიწოდებს, ჩვენი პარტნიორები, მათ შორის, რომ მოდით ხალხო, დასხედით და თქვენს ქვეყანაზე ილაპარაკეთ, ამაზე საუბარი და თხოვნები ჩვენი მეგობრებისგან და გარედან არ უნდა გვჭირდებოდეს. ჩვენ უნდა გამოვიჩინოთ მაღალი პასუხისმგებლობა, – განაცხადა მდინარაძემ.

ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 599-532-690
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი

ვებგვერდი: akhalitaoba.ge ელ.ფოსტა: axtaoba@mail.ru
ტელეფონი: 599-532-690

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# „მიშელმა თავი ღარიბაშვილისგან გადაგდებულად უნდა იგრძნოს“

## გია ხუხაშვილი: „ოცნებას“ უნდა, რომ თავით ანუ მენტალურად რუსეთში იყოს და ერთი ადგილი ევროპაში გაითბოს“

იაგო ნაცვლიშვილი

საქართველოში ვიზიტად მყოფმა ევროპული საბჭოს პრეზიდენტმა შარლ მიშელმა ხელისუფლება და ოპოზიცია მოლაპარაკებების მაგიდასთან დააბრუნა და თითქოს ყინული დაიძრა, თუმცა ამ მოლაპარაკებებიდან მეორე დღესვე ერთი მხრივ ოპოზიციამ პარლამენტის პიკეტირების აქცია მაინც გამართა, ხოლო მეორე მხრივ პრემიერმა ირაკლი ღარიბაშვილმა განაცხადა, რომ ვადამდელი არჩევნები წითელი ხაზია, რომელმაც პოლიტიკური პროცესი ისევ ჩიხში შეიყვანა.

დაიძრა თუ არა გაყინული დიალოგი, რით აიხსნება პრემიერის დაჯდომა მოლაპარაკებებზე და მერე ასეთი განცხადების გაკეთება და რამდენად სწორად მოიქცა ოპოზიცია, როდესაც დაგეგმილი პიკეტირება მაინც არ გადადო? – ამ და სხვა საკითხებზე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში პოლიტოლოგი **გია ხუხაშვილი** საუბრობს.

***– დაიძრა თუ არა ყინული და დაიწყო თუ არა გაყინულმა დიალოგმა ლღობა იმ შეხვედრით, რომელიც გამართა მიშელმა?***

– ამ შეხვედრის შემდეგ თითქოს ოპტიმიზმის რაღაც საფუძველი გაჩნდა და მოლაპარაკებები შედგა, მაგრამ, სამწუხაროდ, გამოჩნდა, რომ ეს იყო ეპიზოდი. მიშელმა ჩვენს პოლიტიკურ სცენაზე შეძლო სარკმლის გაღება, ცოტა გაანიავა ოთახი, მაგრამ დილიდანვე ისევ დახურეს სარკმელი და ისევ ჩაგუბებულ ატმოსფეროში გადავინაცვლეთ. პრინციპში, ესეც მოსალოდნელი იყო.

***– ვინ დახურა ეს სარკმელი?***

– ძირითადად ხელისუფალმა, იმიტომ, რომ გამოვიდა პრემიერ-მინისტრი და ზუსტად იგივე წითელი ხაზები გაიმეორა, რაც გულისხმობს ამ შემთხვევაში მოლაპარაკების დახურვას. პრემიერად რაც დაინიშნა, რაღაც პოლიტიკური სლალომი გვაჩვენა ღარიბაშვილმა. ჯერ ომის ყიჟინა დასცა, მერე მოლაპარაკებებზე დაიწყო ლაპარაკი, მერე ისევ იომა, მერე მშვიდობის მტრედი გახდა და ყოველდღე ცვლის თავის დამოკიდებულებას.





***– ღარიბაშვილის დაჯდომა მოლაპარაკებებზე რას ნიშნავს? ღარიბაშვილი მტრად აღიქვამს ოპოზიციას, თუმცა იქ მივიდა. თქვენ რა შთაბეჭდილება გრჩებათ?***

– ღარიბაშვილს, შესაძლოა, უნდა კიდეც რაღაცაზე ლაპარაკი და სულაც არ აწყობს გაუგებრობა, იმიტომ, რომ შეიძლება მტკივნეული აღმოჩნდეს დასავლეთის დამოკიდებულების თვალსაზრისით, მაგრამ ის არის პოლიტიკური მძევალი. ის პრემიერ-მინისტრი გახდა იმ ტალღაზე, რასაც ჰქვია, ასე რომ ვთქვათ, ომი, იმიტომ, რომ თუ ის რაიმე ტიპის მოლაპარაკებებზე წავა, გაჩნდება კითხვა, მაშინ, გახარია რატომ წავიდა პრემიერ-მინისტრის თანამდებობიდან? გახარია ხომ იმიტომ წავიდა და ღარიბაშვილი ხომ იმისთვის ჩაჯდა იმ მთავარ გზაში, რომ გაეკეთებინა ის, რაც არ გააკეთა გახარიამ.

რა არ გააკეთა გახარიამ? – გახარია არ წავიდა ხელისუფლებისა და ოპოზიციის მოლაპარაკებებში ხიდის ჩატეხაზე. ყველას კარგად ესმოდა, რომ ნიკა მელიას დაჭერა სწორედ ამას გამოიწვევდა. ღარიბაშვილი იმ კაბინეტში დაჯდა ერთადერთი მიზეზით და ეს მიზეზი არის ის, რომ მან თქვა – მე ამას გავაკეთებ. მან ეს გააკეთა და ხიდი ჩატეხა, ახლა კი ის ამ პოლიტიკური გადაწყვეტილების მძევალია. შესაძლოა, უნდა კიდეც, რომ კონსტრუქციული იყოს, მაგრამ მაშინ გამოდის, რომ მათ ეს ოპერაცია დაწყებული აქვთ ერთადერთი მიზნით, რომ გახარია მოეშორებინათ და ის ჩამჯდარიყო პრემიერ-მინისტრის სავარძელში.

***– სანქციები არ აშინებთ?***

– სხვა გზა არ აქვთ. შესაძლოა, აშინებთ კიდეც და ძალიანაც აშინებთ, მაგრამ სხვა გზა არ აქვთ. ჩვენს ხელისუფლებას უნდა, რომ რუსული მოდელით მართოს ქვეყანა და გეოგრაფიულად იძახოს, ევროპაში მივდივარო, მაგრამ ეს ხომ შეუძლებელია. შეიძლება, რომ თავი ერთ სამყაროში გქონდეს და ბოდიში და ერთი ადგილი – მეორე სამყაროში?! ეს ხომ შეუძლებელია!

ამათ უნდათ, რომ თავით ანუ მენტალურად რუსები იყვნენ და ერთი ადგილი მერე ევროპაში გაითბონ. ასე ცხოვრება არ გამოდის. ან თავი უნდა შეყო ევროპაში და მისი თამაშის წესებით უნდა იცხოვრო, ან ის ერთი ადგილიც გამოიტანონ ევროპიდან და მოსრიალდნენ რუსულ წესებზე. გააკეთონ არჩევანი, რას გვეთამაშებიან!

***– ოპოზიციის ქმედებები რამდენად სწორი იყო იმ ვითარებაში, როდესაც დიალოგი დაიწყეს და პარლამენტის პიკეტირების აქცია მაინც გამართეს?***

– ოპოზიციას თავისი უბედურება სჭირს. მე ოპოზიციის ადგილას გამოვაცხადებდი 24–საათიან მორატორიუმს იმისთვის, რომ ხელისუფლებისთვის არ მეთქმევინებინა, გუშინ მოვილაპარაკეთ და მეორე დილას ტაშ-ფანდური ჰქონდათო. ესეც საკმაოდ სუსტი არგუმენტია, მაგრამ ხელისუფლებას ამის თქმის საფუძველსაც არ მივცემდი, ამასაც კი არ ვათქმევინებდი. არაფერი დაშავდებოდა ამით.

როგორც ხელისუფლება აბრიალებს თვალებს კუნთების თამაშზე, ამათაც იგივე უნდათ. ამათაც მეტი ვერაფერი ისწავლეს, მეტი ფანტაზია არ აქვთ, რა ვქნათ!

***– ახსენეთ გახარია და მას თუ ხედავთ პოლიტიკაში დაბრუნებულს და რა შემთხვევაში შეიძლება, დაბრუნდეს?***

– მოდით, დაველოდოთ გახარიას გადაწყვეტილებას და ის როდესაც გადაწყვეტს ამას, ამაზე მერე ვილაპარაკოთ.

***– თქვენი აზრით, რა შემთხვევაში დაბრუნდება ან რა შემთხვევაში უნდა დაბრუნდეს?***

– მაგათ პირად გადაწყვეტილებებზე მე აზრებს ვერ გამოვთქვამ. ეს მისი პრეროგატივაა. თუ გადაწყვეტს, კი ბატონო, მერე ვისაუბროთ.

***– რას ელით პოლიტიკური პროცესისგან?***

– მე არაფერს ველი, ერთადერთი, შემიძლია, ვთქვა ის, რომ საქართველოში პოლიტიკა აფექტურ მდგომარეობაშია და ნებისმიერ მომენტში შეიძლება განვითარდეს პოლიტიკური პროცესები.

***– იმ ორ კვირაში, რომელიც დასახელდა, რომ შედეგი უნდა დაიდოს, არ იქნება შედეგი?***

– 2-მა მარტმა აჩვენა, რომ 1 მარტი თითქოს არ ყოფილა, ისეთი რიტორიკა გვესმოდა. აქედან გამომდინარე, წინასწარ რამის თქმა ძნელია. ახლა უნდა დაველოდოთ, რა რეაქცია მოჰყვება ამას ევროპაში.

ჩემი აზრით, შარლ მიშელმა ღარიბაშვილისგან თავი გადაგდებულად უნდა იგრძნოს. ისინი რას მოიმოქმედებენ, რა დინამიკით, რა ზომებს მიიღებენ, ამას უკვე პროცესი გვაჩვენებს. დაველოდოთ უახლოეს დღეებს და ყველაფერი უფრო მკაფიოდ გამოჩნდება.

# „ოცნებას“ პრობლემები ვაშინგტონიდან ელის“

## სოსო ცინცაძე: „ღარიბაშვილის განცხადება ცუდად მენიშნა. „ქართული ოცნება“ არ არის მზად დათმობისთვის“

ნათია ხურცილავა

**პოლიტოლოგი სოსო ცინცაძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში შექმნილ პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.**

***– ბატონო სოსო, ევროკავშირის მედიაციით დაწყებული მოლაპარაკებები ოპოზიციასა და ხელისუფლებას შორის შეიძლება, შედეგამდე მივიდეს?***

– ჯერ არანაირი გადაწყვეტილება არ არის მიღებული. მოხაზულია 6 მწვავე საკითხი, რომლებიც განხილვის საგანი იქნება, თუმცა ტრაპზე არ იყო შარლ მიშელი, რომ ერთმა მხარემაც და მეორემაც კვლავ ჩიხში შეიყვანა პროცესი. ოპოზიციის მხრიდან აქციების გამართვას ვგულისხმობ, ღარიბაშვილის მხრიდან კი განცხადებას – არავითარი ვადამდელი არჩევნები.

სიმართლე გითხრათ, იმთავითვე ცუდად მენიშნა ღარიბაშვილის განცხადება ბრიფინგზე, პარტიის პოლიტბიუროს გავაცნობ და გადავწყვეტთო. ეს იყო უკანდასახევი გზა. მე მაინც მგონია, რომ დღეს „ქართული ოცნება“ არ არის მზად დათმობისთვის. ის არ წავა ვადამდელ არჩევნებზე, რეალურად კი ბრძოლა სწორედ ამაზეა. რას ნიშნავს ვადამდელი არჩევნები? დღეს, ქვეყანაში არსებული რეალობის გათვალისწინებით, ვადამდელი ან ახალი არჩევნები ხელისუფლების დაკარგვას, პირდაპირ ხელისუფლების გადაბარებას ნიშნავს და არის კი ამისთვის მზად „ქართული ოცნება“? რასაკვირველია – არა.

ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, ამ ზიზღის პირობებში, როდესაც ერთმანეთი ასე ეზიზღებათ და მხოლოდ ერთმანეთის დამთავრებაზე ოცნებობენ, ვინ წავა ამაზე, ვინ დათმობს ძალაუფლებას. ეს ნიშნავს პირდაპირ ციხეში წასვლას. ყოველ შემთხვევაში, ასე აღიქვამს ხელისუფლება. „ქართულ ოცნებას“ ანგარიშსწორების ეშინია. ეს ქმნის სწორედ ჩიხს, გამოუვალ სიტუაციას.



### „არაადეკვატურია როგორც ხელისუფლება, ისე ოპოზიცია“

***– ირაკლი ღარიბაშვილმა ოპოზიციის აქციაზე განაცხადა, რომ 12 საათში ოპოზიციის მხრიდან ვნახეთ აბსოლუტურად არათანმიმდევრული ნაბიჯები. უნდა გაემართა თუნდაც დაანონსებული აქცია ოპოზიციას?***

– არა, არ უნდა გაემართა. ღარიბაშვილს ფორმალურად თუ არაფორმალურად აქვს საბაბი, რომ ასეთი განცხადება გააკეთოს. მოლაპარაკების ტექნოლოგია ასეთ სვლებს არ ცნობს. სირცხვილის დერეფნები, აქციები არ იყო საჭირო.

***– ტაქტიკურად ოპოზიციამ შეცდომა დაუშვა?***

– რასაკვირველია! ეს იყო ოპოზიციის მხრიდან შეცდომა. მოწინააღმდეგეს არ უნდა მისცე მოლაპარაკების დროს არც ერთი საბაბი, რომ მან ეს თითზე დაიხვიოს და მოიქცეს ისე, როგორც მას აწყობს. შენ ამის საბაბი არ უნდა მისცე. ოპოზიციამ ხელისუფლებას ამის საბაბი მისცა.

შეხვედრის დასრულების შემდეგ გიორგი ვაშაძე და სხვა ლიდერებიც სხვანაირად საუბრობდნენ. რაღაც ოპტიმისტურ განწყობებზე იყვნენ თუ ამ ოპტიმიზმის საფუძველი ჰქონდათ, მაშინ მეორე დილით რა საჭირო იყო სირცხვილის დერეფნები?! რა საჭირო იყო პარლამენტის პიკეტირება?! და საპასუხოდ ისევ დაჭერები. სირცხვილის დერეფნებიც, პარლამენტის პიკეტირებაც და პროტესტის სხვა ფორმებიც ხომ მიზნის მიღწევის ინსტრუმენტია.

ეს არ იყო სწორი სვლა. მაშინ, უნდა გამოსულიყვნენ და თუნდაც თავიანთი მომხრეებისთვის ეთქვათ: არაფერი გამოვიდა და ვაგრძელებთ პროტესტს ან პირიქით – ვიღებთ ტაიმაუტს, იქნებ შედეგიანად დასრულდეს მოლაპარაკება. ასეთი რიტორიკით უნდა გამოსულიყვნენ. სიმართლე გითხრათ, ჩემდა გასაკვირად, იმ შეხვედრაზე ყველაზე თავშეკავებული ირაკლი ღარიბაშვილი იყო.

***– ითქვა, რომ სახის შენარჩუნებისთვის დასჭირდა ოპოზიციას.***

– ოპოზიციის მხრიდან სწორი დიპლომატიური ტაქტიკა იქნებოდა რამდენიმედღიანი ტაიმაუტის გამოცხადება და ხელისუფლებისთვის იმის ახსნა, რომ მზად არიან, დაიწყონ რეალური დიალოგი. მზაობა უნდა გამოეთქვათ შემხვედრ ნაბიჯებზე. კარვების აღებას არავინ სთხოვდა მათ. კარვები მდგარიყო, მაგრამ აქტიური პროტესტი უნდა შეეჩერებინათ. ახლა სათქმელი აქვთ როგორც ღარიბაშვილს, ისე – სხვებს. ოპოზიციამ 12 საათი კი არა, 8 საათიც არ მოითმინა. ომის დროსაც კი, როდესაც მხარეებს შორის მოლაპარაკება იწყება, ცეცხლი ჩერდება.



***– რეალურად გადაწყვეტილება ივანიშვილმა უნდა მიიღოს?***

– რა თქმა უნდა, აქ ორი აზრი არ არის. ძალიან გამიკვირდა, რატომ არ იყვნენ შეხვედრაზე კობახიძე ან თალაკვაძე! კობახიძისთვის რომ ეთქვათ, არ მოხვიდეო, დარწმუნებული ვარ, კარს შეამტვრევდა ისე შევიდოდა. შეხვედრაზე ელისაშვილი იქნებოდა თუ არ იქნებოდა, მაგას რა მნიშვნელობა ჰქონდა. მიუხედავად ყველაფრისა, „ქართული ოცნება“, არა მგონია, ვადამდელ არჩევნებზე წავიდეს. ვადამდელი არჩევნები ნიშნავს მმართველი პარტიისთვის სერიოზულ რისკს, რომ ხელისუფლება დაკარგოს. ერთი სიტყვით, ჩიხური სიტუაციაა. არაადეკვატურია როგორც ხელისუფლება, ისე ოპოზიცია.

***– თუ ევროკავშირიც ვერაფერს გახდება, სადამდე შეიძლება, ეს ყველაფერი მივიდეს?***

– ოპოზიციისთვის პატარა იმედად რჩება ამერიკის პოზიცია, თუ მართლაც დაიწყება სერიოზული საუბარი სანქციებზე. მე მაინც ვფიქრობ, რომ „ქართული ოცნება“ ევროპისგან არავითარ უსიამოვნებებს არ უნდა ელოდოს. თუ ეს ჩიხი გაგრძელდა, უსიამოვნო ამბები მათთვის უფრო ვაშინგტონიდან არის მოსალოდნელი.



# გორში ნაცმოძრაობის ოფისი დაარბიეს

გუშინ, 2 მარტს, გორში ნაციონალური მოძრაობის ოფისს თავს დაესხნენ.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ ნაციონალური მოძრაობის წევრმა ბადრი ბასიშვილმა განუცხადა, დამტვრეულია მინები და დაზიანებულია ინვენტარი.

პარტიის ოფისს, სავარაუდოდ, რამდენიმე ადამიანი დაესხა თავს.

– როგორც ვიცი, ეს იყო ჯგუფურად დაგეგმილი თავდასხმა, რამდენიმე ადამიანი მონაწილეობდა. დიდი ალბათობით, „ქართული ოცნების“ აქტივისტები იყვნენ. ეს 2012 წლიდან უკვე მე-6 ფაქტია, მათ შორის ღარიბაშვილის პრემიერმინისტრობის დროს ხდებოდა ყველაზე ხშირად. ახლაც ღარიბაშვილი დაინიშნა რამდენიმე დღეა პრემიერად და, დიდი ალბათობით, ანალოგიური პროცესების გაგრძელებას უნდა ველოდოთ.

დაზიანებულია ინვენტარი, დამტვრეულია მინები. როგორც ვიცი, რამდენიმე პირი პოლიციამ უკვე დააკავა, – განაცხადა ბასიშვილმა.

ტერიტორია ყვითელი ლენტით იყო შემოსაზღვრული და ადგილზე სამართალდამცველები მუშაობდნენ.

გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 187-ე მუხლით მიმდინარეობს, რაც ნივთის დაზიანებას ან განადგურებას გულისხმობს.

# „საქართველოს პოლიტიკური კრიზისი მთელმა მსოფლიომ აღიარა“

## თამარ ჩხეიძე: „რიგგარეშე არჩევნები დღის წესრიგიდან არ უნდა მოიხსნას“

მარიამ მჭედლიშვილი

**ევროპული საბჭოს პრეზიდენტ შარლ მიშელის ორგანიზებით თბილისში ერთმანეთს დიდი პაუზის შემდეგ შეხვდნენ მმართველი პარტიისა და ოპოზიციის წარმომადგენლები. „ქართულ ოცნებას“ ამჯერად წარმოადგენდა პრემიერ-მინისტრად მეორედ მობრუნებული ირაკლი ღარიბაშვილი. შეხვედრას ამ ეტაპზე არ შეუცვლია ოპოზიციის გეგმები. ოპოზიციამ დაანონსებული აქციები, სახელად „მშვიდობიანი პიკეტები“, პარლამენტთან გამართა. ამას პოლიციასთან შეკამათება და რამდენიმე აქტივისტის დაკავება მოჰყვა. ამ და სხვა საკითხებზე „ახალი თაობა“ ესაუბრა ყოფილ დისიდენტსა და დეპუტატს თამარ ჩხეიძეს.**



***– ევროპული საბჭოს პრეზიდენტის თაოსნობით ორშაბათს გამართული შეხვედრის მიუხედავად, სამშაბათს პარლამენტთან ოპოზიციის მიერ დაგეგმილი პიკეტი მაინც მოეწყო. დააკავეს რამდენიმე აქტივისტი.***

– მშვიდობიანი აქციების გამართვის უფლება დაცული უნდა იყოს. ხელისუფლებამ კი აგრესიას მიმართა. გავრცელებული ინფორმაციით, ამ პიკეტის წინა დღეს თბილისში ხელისუფლებამ მოახდინა პოლიციური ძალების მობილიზაცია. ხელისუფლებას შიში აქვს და მზადყოფნას აცხადებს. პოლიცია მშვიდობიან აქციებსა და მოქალაქეების უსაფრთხოებას უნდა იცავდეს. ამ ხელისუფლების ხელში პოლიცია გადაქცეულია იარაღად მოსახლეობის წინააღმდეგ. ეს პოლიცია ორიენტირებულია ხალხის დარბევა-დაკავებაზე.

***– ამ მხრივ წინა ხელისუფლებებიც არ ყოფილან ეტალონები.***

– ადრეც იყო ეს პრობლემები. სამწუხაროდ, ჩვენ ჯერ არ გვიცხოვრია ისეთ სახელმწიფოში, სადაც პოლიცია დეპოლიტიზებულია და ასრულებს თავის ფუნქციას. ეს ბედნიერება არ გვქონია. წინა ხელისუფლებების დროსაც არ ყოფილა პოლიცია სრულად დეპოლიტიზებული, „ქართული ოცნების“ პირობებში კი პოლიციის პოლიტიზებულობა უფრო აშკარაა.

***– შარლ მიშელის მიერ ორგანიზებული შეხვედრის შემდეგ ოპოზიციის ნაწილის რიტორიკა შერბილდა. ზოგიერთი ლიდერი აღარ საუბრობს 2020 წლის არჩევნების გაყალბებასა და რიგგარეშე არჩევნებზე.***

– მე რაც მოვისმინე და ვნახე, ვერ ვიტყვი, რომ ეს ოპოზიციის გამოკვეთილი პოზიციაა. არა მგონია, ოპოზიციამ ვადამდელი არჩევნების მოთხოვნაზე უარი თქვას. პირიქით, ახლა ახალი გარემოებაა, რომელიც ოპოზიციამ თავისი სიმართლისთვის უნდა გამოიყენოს.

***– რა გაქვთ მხედველობაში?***

– ხელისუფლება დამარცხდა. ხელისუფლების მარცხი მდგომარეობს იმაში, რომ დღეს პოლიტიკური კრიზისი საქართველოში უკვე მთელმა მსოფლიომ აღიარა. ცოტა ხნის წინ ხელისუფლება იმეორებდა, რომ საქართველოში არანაირი პოლიტიკური კრიზისი არ არსებობს, რომ არის კრიმინალური ოპოზიცია და ა.შ. ახლა ამას ვეღარ იტყვის. მდგომარეობა შეიცვალა ნიკა მელიას დაკავების შემდეგ. ხელისუფლების მოქმედებებმა ნიკა მელიას წინააღმდეგ კრიზისი უფრო მეტად გამოაჩინა. ამის შემდეგ ყველა მიხვდა, რომ საქართველოს ხელისუფლება არ ჯდება დემოკრატიული სამყაროს სტანდარტებში. დასავლეთი გამოფხიზლდა.

***– ოპოზიციონერები რიგგარეშე არჩევნების მაგივრად პლებისციტზე ალაპარაკდნენ.***

– პლებისციტი მანამდეც განიხილებოდა, ოღონდ, არა რიგგარეშე საპარლამენტო არჩევნების სანაცვლოდ. თუ ეს გადაწყდა, ოპოზიციამ ეს პროცესი მაქსიმალურად უნდა გააკონტროლოს და არ დაუშვას გაყალბება. პლებისციტი შეიძლება იყოს გარკვეული დათქმა-შეთანხმება. გარანტია უნდა გვქონდეს, რომ ხელისუფლება მას შეასრულებს. მას უნდა მოჰყვეს ვადამდელი არჩევნები. შესაძლებელია შეთანხმება ვადაზე. ოპოზიცია ამგვარ დათმობაზე შეიძლება წავიდეს, პრინციპებს არ უნდა უღალატოს და არ მოიქცეს ისე, როგორც ელისაშვილი მოიქცა. იმედი მაქვს, ოპოზიცია მიზანშეუწონელ გარიგებაზე არ წავა.

***– ევროპული საბჭოს პრეზიდენტმა ქართველ პოლიტიკოსებს მოსახლეობის ინტერესების დაცვისაკენ მოუწოდა. გამოწვევებიდან მან დაასახელა ეკონომიკური განვითარება, სოციალური მდგომარეობა, კორონავირუსი და სტაბილურობა.***

– ეს ბუნებრივია. ევროკავშირი, მთლიანად დასავლეთი ზრუნავენ სიტუაციის ნორმალიზაციაზე საქართველოში. ლიტვის პარლამენტის დეპუტატიც ზრუნვის გამო ჩაერია პროცესებში. მან შეშფოთება გამოთქვა, რომ საქართველო შეიძლება კიდევ ერთხელ აღმოჩნდეს რუსეთის ხელში. ამის გამო საქართველოს ხელისუფლება ძალიან გაბრაზდა. ევროკავშირზე მაინც ვერ გაბრაზდება.

***– ხელისუფლებისა და ოპოზიციის შემდეგი შეხვედრა ორ კვირაში შედგება.***

– დიახ. ევროკავშირი უფრო გააქტიურდება. რიგგარეშე არჩევნები დღის წესრიგიდან არ უნდა მოიხსნას. პოლიტპატიმრები და საარჩევნო კოდექსიც უნდა განიხილებოდეს, მაგრამ არა სხვა თემების ხარჯზე.

***– ადგილობრივ არჩევნებზეც იმსჯელებენ.***

– იმედია, იმ დროისთვის შეიცვლება სიტუაცია. თუ ვითარება გამოსწორდა, ადგილობრივი არჩევნები არ გაყალბდება. არ უნდა გამეორდეს ის, რაც ხდებოდა ბოლო საპარლამენტო არჩევნებზე. ამისათვის პარტიებმა უნდა გააკონტროლონ საარჩევნო პროცესი საარჩევნო უბნებში. ამას მეტი ადამიანური რესურსი სჭირდება, მაგრამ სხვა გამოსავალი არ არის.

# ლევან ბოძაშვილი: „ბრიუსელში პასუხის გაცემა ხელისუფლებას მოუწევს“

– მომდევნო ორი კვირის განმავლობაში გაცილებით მეტი პასუხისმგებლობაა ხელისუფლებაზე. ხელისუფლებას მოუწევს პასუხის გაცემა ორ კვირაში ბრიუსელში და არა ოპოზიციას.

ამის შესახებ ექსპერტმა ლევან ბოძაშვილმა „პალიტრანიუსის“ გადაცემა „დღის ნიუსრუმში“ შარლ მიშელის საქართველოში ვიზიტის შედეგების შეჯამებისას განაცხადა.

ბოძაშვილის განმარტებით, ხელისუფლების მხრიდან პასუხისმგებლობა გამოიხატება იმ მნიშვნელოვანი მოთხოვნების დაკმაყოფილებაში, რომლებიც აქვს ოპოზიციას და ეს, პირველ რიგში, არის ნიკა მელიას გათავისუფლება.

ექსპერტის თქმით, ის ელოდება, „რომ უახლოესი ორი კვირის განმავლობაში მელიას გათავისუფლების იურიდიული ფორმა მოიძებნება“.

ამასთანავე, ბოძაშვილის განმარტებით, შარლ მიშელის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი მესიჯი იყო, რომ ის თავად აპირებს მხარეთა შორის კომპრომისის გამოძებნას და ამ კომპრომისზე მხარეების დათანხმებასა და დაყოლიებას.

– 1 მარტის შეხვედრიდან რა შთაბეჭდილებაც დარჩა, ჩემი აზრით, ეს იყო ევროკავშირის ინტერესი საქართველოში, რომ პოლიტიკური კლასი პრობლემურ საკითხებზე დათანხმების ეტაპზე გადავიდეს, რომ ეს რადიკალიზმი ამოიძირკვოს საქართველოს პოლიტიკიდან, თუნდაც უახლოესი მომავლის პერიოდში.

ევროკავშირს ძალიან დიდი თანხები აქვს საქართველოში ჩადებული როგორც გრანტების, ინვესტიციების, დახმარებების სახით და არც ერთ შემთხვევაში ევროკავშირი არ დაეთანხმება იმას, რომ ქვეყანა წავიდეს რადიკალიზმისა და არეულობის გზით, – განაცხადა ლევან ბოძაშვილმა.

ჩვენი პოლიტიკური კულტურის უმწიფრობისა პრობლემაა, რომ საქართველოს პოლიტიკურ სპექტრს არ შეუძლია არააგრესიული, ერთმანეთსა და ქვეყნის ინტერესებზე ორიენტირებული პოლიტიკის წარმოება.

– პოლიტიკური პარტიების ძალიან დიდი ნაწილი, განსაკუთრებით რადიკალური პოლიტიკური პარტიებისა, ატარებს კვლავაც კომუნისტურ მენტალიტეტს იმ თვალსაზრისით, რომ ისინი არ ცდილობენ, ქვეყნის ინტერესებზე მაღლა არ დააყენონ საკუთარი ინტერესები და კომუნისტურ მენტალიტეტში ამ შემთხვევაში იგულისხმებოდა, რომ ვიღაცამ უნდა გადაგიწყვიტოს პრობლემები.

ამ შემთხვევაში, ყველა პარტია და პარტიული ლიდერები, რომლებიც რადიკალიზმის მომხრენი არიან, როგორიც არის სახელმწიფო ინსტიტუტების დისკრედიტაცია, ხელის შეშლა საქმიანობის, პარლამენტში არშესვლიდან დაწყებული, დასრულებული რევოლუციური სცენარების განხორციელებით, არიან პირდაპირ დაპირისპირებული ევროპულ პოლიტიკის კულტურასთან და ისტებლიშმენტთან, ყველაფერთან, რაზეც ევროპა და ევროკავშირი დგას, – განაცხადა ლევან ბოძაშვილმა.

# „დირსის“ კომპლექსთან მდებარე ცემენტის ქარხანა ხალხს წამლავს“

## კახა კახიშვილი სასამართლოს მიმართავს

დეპუტატი კახა კახიშვილი სასამართლოს მიმართავს, მოკლე დროში განიხილოს თბილისში, ისნის რაიონში, „დირსის“ კომპლექსთან მდებარე ცემენტის ქარხნის მუშაობის საკითხი.

აღნიშნულთან დაკავშირებით კახა კახიშვილმა გუშინ, 2 მარტს, პარლამენტის სხდომაზე განაცხადა.

მან საცხოვრებელი კორპუსის მახლობლად მდებარე ქარხანაზე, რომელიც გარემოს აბინძურებს და მოსახლეობის ჯანმრთელობას საფრთხეს უქმნის, პარლამენტში მთავრობისთვის ნდობის გამოცხადების საკითხის განხილვის დროსაც ისაუბრა.

– მთავრობის დამტკიცების დროს ვისაუბრე „დირსის“ კომპლექსთან ორ მეტრში მდებარე ცემენტის ქარხანაზე, რომელიც წამლავს მოსახლეობას. მქონდა კომუნიკაცია ფინანსური პოლიციის ხელმძღვანელთან, გარემოს დაცვის მინისტრთან, თავად პრემიერთანაც და ჯადოსნური წრეა.

ერთი მხრივ, ამ ადამიანებს უკანონოდ აქვთ შესაძლებლობა, განახორციელონ საქმიანობა, არ აქვთ არანაირი ლიცენზია, აბსოლუტურად ყველანაირი პასუხისმგებლობისგან გათავისუფლებული არიან, რადგან კანონის საწინააღმდეგოდ მოქმედებენ, მაგრამ, ამავდროულად, სასამართლოში გასაჩივრებულია ეს საკითხი. რამდენადაც ვიცი, ქალაქ თბილისის მერიაც ჩართულია. ვერაფერს უშვრებიან, რადგან იწელება სასამართლო პროცესები, – განაცხადა დეპუტატმა.

მისი თქმით, სანამ სასამართლო პროცესები ჭიანურდება, ქარხნის უკანონო საქმიანობის შედეგად ათასობით ადამიანი იწამლება.

– ამიტომ ვთხოვ ამ ტრიბუნიდან სასამართლოს, არაფერს ვთხოვ ზედმეტს, მოკლე დროში განიხილონ ეს საკითხი და მიიღონ კანონით გათვალისწინებული გადაწყვეტილება; ამავე დროს, გაითვალისწინონ, თითოეული დღე, რომელსაც აჭიანურებენ ამ საკითხის განხილვისას, წამლავს ბავშვებს, რადგან ცემენტის ქარხნის გვერდზე არის საბავშვო ბაღები, სკოლები, კორპუსები, იქ ჩვენი მოქალაქეები ცხოვრობენ, – განაცხადა კახა კახიშვილმა.

დეპუტატი მიიჩნევს, რომ გარემოს დაბინძურებაზე პასუხისმგებლობა უნდა გამკაცრდეს.

– ვხედავ, აქ წარმოდგენილ საკითხებში მათ შორის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას გარემოს დაბინძურებაზე და ვფიქრობ, მეტად უნდა გავამკაცროთ ასეთი საკითხები. არ შეიძლება თვითნებობები, მით უმეტეს, ადამიანების ჯანმრთელობის ხარჯზე, – განაცხადა სხდომაზე კახა კახიშვილმა.

# ბათუმში მიკროავტობუსის მძღოლებმა ტარიფის გაზრდა მოითხოვეს



გუშინ, 2 მარტს, ბათუმში 4 მიმართულებით მოძრავი მიკროავტობუსის მძღოლებმა საპროტესტო აქცია გამართეს.

ისინი ბათუმის მერიას მიმართავენ და სამგზავრო ტარიფის გაზრდას სთხოვენ.

მძღოლების თქმით, ბათუმის ყოფილი და მოქმედი ხელმძღვანელობისგან დაპირება მიიღეს, თუმცა – უშედეგოდ.

– ჩვენ ვითხოვთ ტარიფის გაძვირებას 20 თეთრით. ბათუმის ყოფილი მერი ლაშა კომახიძე თავისი მერობის პერიოდში დაგვპირდა, გამოუშვა კომისია სამი კვირა, დაითვალეს, რამდენი მგზავრი გადაგვყავდა ერთი მხრიდან მეორე მიმართულებით.

საწვავი ყოველდღე ძვირდება. 50 თეთრში რამდენი ადამიანი უნდა გადაიყვანო-გადმოიყვანო, რომ ერთი მოძრაობის საწვავის ფული ამოიღო და ხარჯი გაასწორო.

ამას დაემატა ის, რომ ბათუმში ბევრი ქუჩა ცალმხრივი გახდა, – აცხადებს აქციის ერთ-ერთი მონაწილე მერაბ ბერიძე.

# სალომე ზურაბიშვილი: „კარგად არ არის გააზრებული, რა მოხდა ორბელიანების სასახლეში“

ნუთუ მართლა არ გვესმის, რა მასშტაბის განაცხადი გაკეთდა გუშინ, რა დონის მხარდაჭერის გამოვლენა იყო და რომ ეს დამოკიდებულება ჩვენგან პასუხს ანუ პასუხისმგებლობის აღებას ითხოვს.



მის შესახებ საქართველოს პრეზიდენტის სალომე ზურაბიშვილის განცხადებაშია ნათქვამი, რომლითაც ის ევროპული საბჭოს პრეზიდენტ შარლ მიშელის მონაწილეობით ოპოზიციასა და ხელისუფლებას შორის შეხვედრას ეხმაურება.

როგორც პრეზიდენტი პრესსამსახურის მიერ გავრცელებულ განცხადებაში აღნიშნავს, საკვირველია 2 მარტის რეაქციები, „დაწყებული იმით, რომ კითხულობენ, სად იყო პრეზიდენტი, დამთავრებული პიკეტირებითა თუ ახალი დაკავებებით“.

„გუშინ ევროკავშირის საბჭოს პრეზიდენტ შარლ მიშელთან ნაყოფიერი შეხვედრა შედგა და დაიწყო პროცესი, რომელიც დღის ბოლოს ორბელიანების სასახლეში დაგვირგვინდა.

მინდა, მადლობა გადავუხადო ევროპული საბჭოს პრეზიდენტს მისი აქტიური ჩართულობისთვის და მივესალმო პრემიერ-მინისტრისა და ოპოზიციური ძალების წარმომადგენლების კონსტრუქციულ მონაწილეობას. თუმცა, რაც მოხდა გუშინ, ორბელიანების სასახლეში, კარგად გააზრებული არ არის.

ევროკავშირმა უმაღლესი პოლიტიკური ფიგურის ქვეყნის კრიზისში და მის განმუხტვაში ჩართვით გვაჩვენა, რომ ევროპა არათუ გასულია ამ რეგიონიდან და ამ ქვეყნიდან, არამედ, პირიქით, საქართველოს დემოკრატიულობა, სტაბილურობა და განვითარება ისე, როგორც არასდროს, მნიშვნელოვანია ევროპისათვის.

ამ ფონზე კი პირდაპირ საკვირველია დღევანდელი რეაქციები, დაწყებული იმით, რომ კითხულობენ, სად იყო პრეზიდენტი, დამთავრებული პიკეტირებითა თუ ახალი დაკავებებით.

ნუთუ მართლა არ გვესმის, რა მასშტაბის განაცხადი გაკეთდა გუშინ, რა დონის მხარდაჭერის გამოვლენა იყო, და რომ ეს დამოკიდებულება ჩვენგან პასუხს, ანუ პასუხისმგებლობის აღებას ითხოვს. ჩვენგან ელიან მეტ თანმიმდევრულობას, მეტ კონსტრუქციულობას, მეტ სახელმწიფოებრივ მიდგომას ანუ ჭეშმარიტ პატრიოტიზმს“, – აღნიშნავს ზურაბიშვილი.

# „მელაშვილს და ილიჩოვას სახელმწიფო ბოდიშს აუცილებლად მოუხდის“

## ადვოკატ მშვენიერაძის განცხადება

სახალხო დამცველმა დავითგარეჯის საქმეზე სასამართლოს „სასამართლო მეგობრის“ სტატუსით მიმართა.

როგორც გუშინდელი, 2 მარტის, სასამართლოს სხდომის დასრულების შემდეგ ბრალდებულის ივერი მელაშვილის ადვოკატმა, გიორგი მშვენიერაძემ ჟურნალისტებს განუცხადა, სახალხო დამცველის მიერ მომზადებულ დოკუმენტში აღწერილია „ის სამართლებრივი აბსურდი, რომელსაც პროკურატურამ სისხლის სამართლის საქმე დაარქვა“.

– ეს დოკუმენტი არის ამ პროცესების ნეიტრალური არბიტრის, სახალხო დამცველის შეფასება მიმდინარე საქმესთან დაკავშირებით, სადაც საუბარია და აღწერილია არა მარტო ის დაბრკოლებები, რომელსაც ვაწყდებოდით, არამედ ის სამართლებრივი აბსურდი, რომელსაც პროკურატურამ სისხლის სამართლის საქმე დაარქვა და ძალიან ლოგიკური დასკვნა აქვს გაკეთებული სახალხო დამცველს, რომ ეს პროცესი ხორციელდება არა მართლმსაჯულების ინტერესებით, არამედ სხვა მიზეზებით, რაც ნიშნავს, რომ ის ეწინააღმდეგება ევროპული კონვენციის, ადამიანის უფლებათა დაცვის და თავისუფლებათა შესახებ მე-18 მუხლის მიზნებს. „სასამართლო მეგობრის“ მოსაზრება მე-18 მუხლზე აპელირებით, მე სახალხო დამცველის მიერ გაკეთებული, დღემდე არ მახსოვს, – განაცხადა მშვენიერაძემ.

მშვენიერაძის თქმით, ბრალდების მხარე ცდილობს, რომ დანაშაულის ილუზია შექმნას.

– პროკურატურას აქვს არჩეული სტრატეგია, რომლითაც საუბრობს ყოველ მესამე მტკიცებულებაზე, რომლიდანაც ცდილობს ამოგლიჯოს გარკვეული სიტყვები და დანაშაულის ილუზია შექმნას, რაც უბრალოდ შეუძლებელია მთავარ სასამართლო სხდომაზე ასე დარჩეს. ეს შეიძლება იოლად მოახერხოს მედიაში, სადაც ოპონენტი არ ჰყავს, მაგრამ ის ამას ვერ შეძლებს სასამართლოზე.

ჩვენ მზად ვართ, ყველა მტკიცებულებას ჩავყვეთ დეტალურად, ყველა მოწმე დაიკითხოს დეტალურად. ჩვენ დასამალი არაფერი გვაქვს ამ საქმეში. თითოეული დაინტერესებული ადამიანი ღრმად დარწმუნდება ამაში, რომ ივერი მელაშვილს და ნატალია ილიჩოვას სახელმწიფომ დაგვიანებით მოუხადა ბოდიში. მათ ბოდიში დღეს და გუშინ ეკუთვნოდათ, მაგრამ ხვალ აუცილებლად მოუხდიან, – განაცხადა მშვენიერაძემ.

თბილისის საქალაქო სასამართლომ საქართველოს ტერიტორიების საწინააღმდეგოდ ჩადენილ ქმედებებში ბრალდებულების, ივერი მელაშვილისა და ნატალია ილიჩოვას ბრალდების სისხლის სამართლის საქმის არსებითი განხილვა გუშინ, 2 მარტს, დაიწყო.

საქართველოს გენერალურმა პროკურატურამ სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურთან ერთობლივი თანამშრომლობით დააკავა საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს მეზობელი ქვეყნების დეპარტამენტის სასაზღვრო ურთიერთობათა სამსახურის უფროსი ივერი მელაშვილი და საქართველოს შს სამინისტროს სასაზღვრო პოლიციის სახმელეთო საზღვრის დაცვის დეპარტამენტის მთავარი ინსპექტორი ნატალია ილიჩოვა.





პროკურატურის ინფორმაციით, ექსპერტიზის დასკვნით დადგინდა, რომ ბრალდებულები საზღვრების დელიმიტაციის პროცესში ხელმძღვანელობდნენ 1970-80-იან წლებში გამოცემულ რუკებზე დატანილი საზღვრის ხაზებით, რაც არსებითად ეწინააღმდეგება ჩვენი ქვეყნის ისტორიულ საზღვარს, მათ შორის დავითგარეჯთან მიმართებაში. პროკურატურის ინფორმაციით, ბრალდებულები განზრახ, ზემდგომი პირების დავალებების შესაბამისად მოქმედებდნენ.

ივერი მელაშვილი და ნატალია ილიჩოვა თბილისის საქალაქო სასამართლომ სხდომათა დარბაზიდან 28 იანვარს გაათავისუფლა. მოსამართლემ ბრალდებულებს აღკვეთის ღონისძიების სახით შეფარდებული პატიმრობა 20.000-20.000-ლარიანი გირაოს სანაცვლოდ შეუცვალა.

# სოფო სიხარულიძე: „გიორგი რურუას გათავისუფლება თუ გადაწყვიტეს, გზის მოძებნა არ გაუჭირდებათ“



– თუ მიხვდებიან, რომ საჭიროა გიორგის გათავისუფლება, ეს მათ არ გაუჭირდებათ. ამის შესახებ „მთავარი არხის“ ერთ-ერთი დამფუძნებლის, პოლიტპატიმარ გიორგი რურუას მეუღლემ, სოფო სიხარულიძემ „მთავარი არხის“ ეთერში, გადაცემა „დღის სტუმარში“ ისაუბრა.

– ძალიან მარტივი საქმეა. როდესაც ამის პოლიტიკური ნება იქნება, საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებითაც შეუძლიათ გიორგის გამოშვება და ასევე, პრეზიდენტთან არის, თუ არ ვცდები, 20 ათასამდე ხელმოწერა საზოგადოების მხრიდან. ჯერ კიდევ მგონი ოქტომბერში შეიტანეს და სთხოვდნენ მას 8 მარტის შეთანხმების შესრულებას და გიორგის გათავისუფლებას. ასე რომ, თუ მიხვდებიან, რომ საჭიროა ნამდვილად მისი გათავისუფლება, არ გაუჭირდებათ გზის პოვნა, რომ გამოუშვან გიორგი ციხიდან, – ამბობს სოფო სიხარულიძე.

გიორგი რურუა 2019 წლის 18 ნოემბერს დააკავეს. გამოძიება მას ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვა-ტარებას ედავებოდა, თუმცა საქმეში არსებული არც ერთი მტკიცებულება პროკურატურის ვერსიას არ ადასტურებდა. რურუას დაცვის მხარემ რამდენიმეთვიანი სასამართლო პროცესების განმავლობაში, არაერთხელ დააყენა მისი გათავისუფლების შუამდგომლობა, თუმცა სასამართლო ამ გადაწყვეტილებას არ იღებდა.

ამის შემდეგ, 2020 წლის 30 ივლისს, მოსამართლე ვალერიან ბუგიანიშვილმა გიორგი რურუას თავისუფლების 4 წლით აღკვეთა მიუსაჯა.

გიორგი რურუას დაკავებაში პოლიტიკურ მოტივებს ხედავდნენ საერთაშორისო პარტნიორებიც და საქართველოს ხელისუფლებას მისი გათავისუფლებისა და პოლიტიკური დევნის შეწყვეტისკენ მოუწოდებდნენ.

პოლიტპატიმრების, მათ შორის გიორგი რურუას გათავისუფლებას ფასილიტატორი ელჩების შუამავლობის შედეგად, ხელისუფლებისა და ოპოზიციას შორის მიღწეული, 8 მარტის შეთანხმება გულისხმობდა, თუმცა პირობას „ოცნება“ ამ დრომდე არ ასრულებდა.

8 მარტის შეთანხმებისა და დასავლელი პარტნიორების არაერთი მოწოდების შემდეგ პრეზიდენტმა სალომე ზურაბიშვილმა პოლიტპატიმრები გიგი უგულავა და ირაკლი ოქრუაშვილი 2020 წლის 15 მაისს შეიწყალა.

# არჩილ გაგნიძე: „გიორგის დედა მკვლელს მეძახის, რადგან თქვენ ტყუილში დააჯერეთ“

– ტყუილში დააჯერეთ შაქარაშვილის ოჯახი და პროცესზე მკვლელი მეძახა. მეც მოვკვდი იმ დღეს.



ამ სიტყვებით მიმართა ფეხბურთელ გიორგი შაქარაშვილის მკვლელობაში ბრალდებულმა მორაგბემ არჩილ გაგნიძემ გუშინდელ, 2 მარტის, სასამართლო პროცესზე პროკურორებს.

არჩილ გაგნიძე საკუთარ საბოლოო სიტყვას რამდენიმე წუთის განმავლობაში წარმოთქვამდა. მან შემთხვევის დღე დეტალურად გაიხსენა.

– რაც სიმართლე იყო, ის ვუთხარი გამოძიებას და დავაფიქსირე ჩვენებაში. გამომძიებელს რომ უნდოდა, ის მეღიარებინა, რაც არ ჩამიდენია, ფეხებით რომ დამკიდონ და დენზე შემაერთონ, არ ვიტყვი. ტყუილში დააჯერეთ შაქარაშვილის ოჯახი და პროცესზე მკვლელი მეძახა. მეც მოვკვდი იმ დღეს და თქვენი ბრალია, რომ გიორგის დედასა და საზოგადოებას შეუქმენით იმის განცდა, რომ მართლა მე მოვკალი გიორგი შაქარაშვილი, – აღნიშნა გაგნიძემ.

მისივე განმარტებით, ის სიმართლეს დაამტკიცებს.

– აქ იქნება თუ მერე, დავამტკიცებ ჩემს სიმართლეს და მერე რა პასუხს გამცემთ? როგორ ვცემდი პატარა ბავშვს და მერე ცოცხალ ადამიანს წყალში როგორ გადავაგდები. ამას არაკაციც კი არ გააკეთებდა. 6-დან 10 წლამდე ბავშვების მწვრთნელი ვარ, ჩემი მანქანით მიმყავს ვარჯიშზე და მერე სახლებში ვარიგებ, – განაცხადა გაგნიძემ.

# შპს „ორბიტას“ დირექტორ მ.კ-ს ბათუმის სასამართლომ 7 წელი მიუსაჯა



ბათუმის საქალაქო სასამართლომ სრულად გაიზიარა ბრალდების მხარის მიერ წარდგენილი მტკიცებულებები და სამსახურებრივი მდგომარეობისა და ყალბი ოფიციალური დოკუმენტების გამოყენებით, დიდი ოდენობით საბიუჯეტო სახსრების გაფლანგვის ფაქტზე, შპს „ორბიტას“ დირექტორი მ.კ დამნაშავედ ცნო.

ბრალდების მხარის მიერ სასამართლო პროცესზე წარდგენილი მტკიცებულებებით დადასტურდა, რომ ხულოს მუნიციპალიტეტში, „ხიხაძირი-თხილვანა-ბაკოს“ საავტომობილო გზის მონაკვეთის რეაბილიტაციის მიზნით, გამოცხადებულ ტენდერში გამარჯვებულმა შპს „ორბიტას“ დირექტორმა მ.კ.-მ, სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულების გაფორმებისას, წარადგინა ერთი კომერციული ბანკის სახელით დამზადებული ყალბი საბანკო გარანტიები, რის საფუძველზეც შპს „ორბიტას“ საბანკო ანგარიშზე ავანსის თანხა 188.000 ლარი ჩაერიცხა.

აღნიშნული თანხიდან მ.კ.-მ მხოლოდ 43.535 ლარის ღირებულების სამუშაოები შეასრულა, ხოლო ავანსის დარჩენილი თანხა, 144 .ლარი, სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით გაფლანგა, რითაც სახელმწიფო ბიუჯეტს დიდი ოდენობით ზიანი მიაყენა.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის პროკურატურის საგამოძიებო სამმართველოს თანამშრომლებმა შპს „ორბიტას“ დირექტორი მ.კ. 2020 წლის 8 ივნისს სასამართლოს განჩინების საფუძველზე დააკავეს. მ.კ-ს ბრალდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 362-ე მუხლის მეორე ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტითა (ყალბი ოფიციალური დოკუმენტების გამოყენება, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია) და 182-ე მუხლის მეორე ნაწილის „დ“ და მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტებით (გაფლანგვა სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებითა და დიდი ოდენობით), წარედგინა და აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა შეეფარდა.

ბათუმის საქალაქო სასამართლომ მ.კ. სრულად ცნო დამნაშავედ წარდგენილ ბრალდებაში და სასჯელის სახით 7 წლით თავისუფლების აღკვეთა განუსაზღვრა.

# თამარაშვილზე იარაღი იპოვეს

## დაკავებულია 1 პირი

თამარაშვილის ქუჩაზე, 21 ნომერში, 1 მარტს, ღამით, პოლიცია იყო მობილიზებული. ქუჩაში ცეცხლსასროლი იარაღი იყო ნაპოვნი.



მოგვიანებით შსს-მ ასეთი ინფორმაცია გაავრცელა:

„ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვა-ტარების ბრალდებით დაკავებულია ერთი პირი.

სამართალდამცველებმა თბილისში თამარაშვილის ქუჩაზე ბრალდებულის კუთვნილი სავარაუდოდ ცეცხლსასროლი იარაღი ნივთმტკიცებად ამოიღეს, რომელზედაც შესაბამისი ექსპერტიზა დაინიშნება.

გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 236-ე მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილებით მიმდინარეობს, რაც ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვა-ტარებას გულისხმობს.

დანაშაულის დამტკიცების შემთხვევაში ბრალდებულს 4-დან 7 წლამდე პატიმრობა ემუქრება“.

# „მითხარი, ვისთან მიღალატე!“

## გ.ხ. ცოლს ფეხებს ურტყამდა, ბოლოს კი ცივი შხაპის ქვეშ დააყენა

საქართველოს პროკურატურამ გენდერის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ოჯახის წევრის მიმართ ჩადენილი წამების, ძალადობისა და მუქარის ფაქტებზე გ.ხ.-ს ბრალდება წარუდგინა. ამის შესახებ ინფორმაციას საქართველოს პროკურატურა ავრცელებს.

საქმეზე ჩატარებული გამოძიებით დადგინდა, რომ 2021 წლის 24 თებერვალს, ქ. თბილისში, გ.ხ.-მ, გენდერის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით, ვინაიდან ჩათვალა, რომ მის მეუღლეს – ს.მ.-ს არ ჰქონდა მამრობითი სქესის მეგობრების ყოლის, მათთან მიმოწერისა და საკუთარი თანხების დამოუკიდებლად განკარგვის უფლება, აწამა იგი.

„გ.ხ. დაზარალებულს 4-5 საათის განმავლობაში ფიზიკურ შეურაცხყოფას აყენებდა, რა დროსაც იატაკზე დააგდო და ხელებით და ფეხებით ურტყამდა სახისა და სხეულის სხვადასხვა არეში, შემდეგ კი ძალის გამოყენებით სააბაზანოში შეიყვანა და ცივი შხაპის ქვეშ ამყოფებდა. გ.ხ.-ს ქმედებები მიზნად ისახავდა ს.მ.-ს იძულებას, ეღიარებინა ღალატი და დაესახელებინა პირი, რომელსაც თანხა ასესხა.

გამოძიებით ასევე დადგინდა, რომ 2021 წლის 25 თებერვალს, გ.ხ. გენდერის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით, ცეცხლსასროლი იარაღით სიცოცხლის მოსპობით დაემუქრა მეუღლეს ს.მ.-ს, მეუღლის მშობლებს გ.მ.-ს, ლ.ს.-ს და ძმას გ.მ.-ს, ხოლო გენდერის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ფიზიკურად იძალადა მეუღლის მამაზე და ძმაზე. გ.ხ.-ს ბრალდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 111-1441 მუხლის პირველი ნაწილით, 111-151 მუხლის მე-2 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით (სამი ეპიზოდი), 151-ე მუხლის პირველი ნაწილით, 1261 მუხლის პირველი ნაწილით და 126-ე მუხლის პირველი ნაწილით წარედგინა, რაც სასჯელის სახედ და ზომად შვიდიდან ათ წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

თბილისის საქალაქო სასამართლომ გ.ხ.-ს აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა შეუფარდა“, – აღნიშნულია პროკურატურის მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

პროკურატურა გენდერის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილ დანაშაულებზე მკაცრ რეაგირებას ახორციელებს, გენდერის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით 2020 წელს სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო 208 პირის მიმართ.

# 426.352 ლარის ყალბი აქტივის მითვისებისთვის 3 პირი დააკავეს

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის თანამშრომლებმა, გატარებული ოპერატიულ – სამძებრო ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, დიდი ოდენობით სახელმწიფო ქონების მოტყუებით დაუფლების ფაქტზე, 3 პირი დააკავეს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულებმა, მათი მმართველობის ქვეშ მყოფი კომპანიების მეშვეობით, 2019-2020 წლებში განახორციელეს ფიქტიური ოპერაციები, რა გზითაც შეიქმნეს ჯამში 426.352 ლარის ოდენობის ყალბი აქტივი, რომელსაც შემდგომში მოტყუებით დაეუფლნენ.

გამოძიების პროცესში, ზიანის ანაზღაურების სახით, სახელმწიფო ბიუჯეტში შეტანილ იქნა 139.000 ლარი.

გამოძიება მიმდინარეობს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 180-ე მუხლის მე-3 ნაწილით, რაც სასჯელის სახით ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას 6-დან 9 წლამდე ვადით.

გრძელდება შესაბამისი ღონისძიებები აღნიშნული დანაშაულის ჩამდენი სხვა პირების დადგენა-მხილების მიზნით.

# აშშ-მ რუსეთს ნავალნის დაპატიმრებისთვის სანქციები დაუწესა

ამერიკის შეერთებულმა შტატებმა რუსეთს ოპოზიციონერი პოლიტიკოსის, ალექსეი ნავალნის, დაპატიმრების გამო სანქციები დაუწესა.

სანქცირებულთა სიაში რუსეთის გენერალური პროკურორი, რუსეთის გვარდიის ხელმძღვანელი და დუმის დეპუტატი ალექსანდრ კალაშნიკოვი მოხვდნენ.

შეერთებული შტატები კრემლს ოპოზიციონერის დაუყოვნებლივ გათავისუფლებისკენ მოუწოდებს, წინააღმდეგ შემთხვევაში სანქციების კიდევ უფრო გამკაცრებით იმუქრება.

ალექსეი ნავალნი მოსკოვში ჩასვლისთანავე, საპასპორტო კონტროლის გავლის დროს, 17 იანვარს, პოლიციამ აიყვანა, რის შემდეგაც მოსკოვში რუსი ოპოზიციონერის მხარდასაჭერად ხალხი ქუჩაში გამოვიდა.



2 თებერვალს „ივ-როშეს“ საქმესთან დაკავშირებით ნავალნის 3.5 წლით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა.

ალექსეი ნავალნი 2020 წლის აგვისტოში „ნოვიჩოკის“ ნერვული აგენტით მოწამლეს.

დასავლეთის უსაფრთხოების სამსახურები ნავალნის მოწამვლაში კრემლს ადანაშაულებენ.

კრემლი ფაქტს უარყოფს. ვლადიმერ პუტინი ამბობს, რომ რუსეთის სპეცსამსახურებს ნავალნის მოკვლა რომ მოენდომებინათ, ამ საქმეს ბოლომდე მიიყვანდნენ.

ნავალნიმ თავისი საქმე გამოიძია – თვითონ დაურეკა თავის მკვლელს, რომელმაც რუსეთის ხელისუფლების მხრიდან მისი მოწამვლა დაადასტურა.

# სომხეთის პრეზიდენტი გენშტაბის უფროსის მოხსნას ხელს არ აწერს



სომხეთის პრეზიდენტმა არმენ სარქისიანმა გენერალური შტაბის ხელმძღვანელ ონიკ გასპარიანის გათავისუფლების შესახებ ბრძანებას ხელი ისევ არ მოაწერა.

„სომხეთის პრეზიდენტმა, რომელიც საკუთარი მოვალეობის მიმართ ერთგულია, მიიღო გადაწყვეტილება, არ მოაწეროს ხელი განკარგულების პროექტს. პრეზიდენტი გააგრძელებს სიტუაციის სტაბილიზაციის მიზნით საჭირო ნაბიჯების გადადგმას და მოუწოდებს ყველას, საპრეზიდენტო ინსტიტუტის გამოყენებით აწარმოონ მოლაპარაკებები, რათა ყველა არსებული პრობლემა სრულყოფილად გადაწყდეს“, – აღნიშნულია პრეზიდენტის ადმინისტრაციის მიერ გავრცელებულ განცხადებაში.

შეგახსენებთ, სომხეთში ვითარება რამდენიმე დღის წინ დაიძაბა, როდესაც შეიარაღებული ძალების გენერალურმა შტაბმა პრემიერ-მინისტრ ნიკოლ ფაშინიანისა და მისი მთავრობის გადადგომა მოითხოვა.

ეს ნაბიჯი პრემიერმა სამხედრო გადატრიალების მცდელობად შეაფასა და განაცხადა, რომ გენერალური შტაბის უფროსის თანამდებობიდან გათავისუფლების თხოვნის შუამდგომლობით პრეზიდენტს მიმართა. არმენ სარქისიანმა ონიკ გასპარიანის გადაყენების განკარგულებას ხელი არ მოაწერა, რის შემდეგაც ნიკოლ ფაშინიანმა პრეზიდენტს შუამდგომლობა ხელახლა გადაუგზავნა.

**მოამზადა ნიკა თევზაძემ**

# გერმანიაში ლოქდაუნის გახანგრძლივებას აპირებენ



გერმანია კორონავირუსის გამო დაწესებული ლოქდაუნის 28 მარტამდე გახანგრძლივებას გეგმავს.

გერმანიის კანცლერ ანგელა მერკელსა და 16 ფედერალური რეგიონის ლიდერების მოლაპარაკებების ხელშეკრულების პროექტში აღნიშნულია, რომ ლოქდაუნი გახანგრძლივდება, თუმცა 8 მარტიდან გარკვეული შეზღუდვები შემსუბუქდება.

გერმანიაში კანცლერ ანგერლა მერკელსა და 16-ვე რეგიონის ხელმძღვანელებს შორის 10 თებერვალს მიღწეული შეთანხმების შედეგად, დაწყებითი კლასების მოსწავლეების უმრავლესობა ერთი კვირის წინ სკოლებში დაბრუნდა.

ქვეყანაში 2 ნოემბრის შემდეგ დახურულია რესტორნები, ბარები, სპორტული და გასართობი ობიექტები, 16 დეკემბრიდან კი – მაღაზიების უმრავლესობა.

დღეს, 3 მარტს, ანგელა მერკელი რეგიონების ხელმძღვანელებთან შეხვედრას გამართავს, რომლის დროსაც იმსჯელებენ, როგორ იმოქმედონ კორონავირუსის გამო დაწესებულ შეზღუდვებთან დაკავშირებით, რომლებიც 7 მარტამდეა ძალაში.

# პენსიონერმა ქალმა მძარცველი ძირს დააგდო და ხელჩანთა დაიბრუნა



ავსტრალიის კვინსლენდის შტატის მცხოვრებმა პენსიონერმა ქალმა მიწაზე დააგდო მძარცველი, რომელმაც მას ხელჩანთა გასტაცა.

პენსიონერი დაბადების დღეს აღნიშნავდა ტავერნაში. მოულოდნელად მის მაგიდასთან მამაკაცმა მიირბინა, ხელჩანთას ხელი დასტაცა და შეეცადა, მიმალულიყო.

სათვალთვალო კამერების მიერ გადაღებულ ვიდეოჩანაწერში ჩანს, თუ როგორ ცდილობს მძარცველი, ნადავლთან ერთად მიიმალოს. ხელჩანთის პატრონი ქალი მას ავტოსადგომზე დაეწია, ხელები მხრებში სტაცა და ძირს დააგდო. ორთაბრძოლის დროს პენსიონერმა მძარცველი გაკოჭა და ხელჩანთა წაართვა. ამავე დროს, მან მამაკაცს ორთაბრძოლის დროს გახადა პერანგი და ცალი ფეხსაცმელი.

მძარცველმა ქალის მარწუხებისგან თავის დაღწევა მოახერხა და გაქცევა ცადა. პენსიონერმა გაქცეულს მისივე ფეხსაცმელი ესროლა, ხელჩანთა კი დაიტოვა.

მძარცველი დანაშაულის ადგილიდან ავტომობილით გაიქცა, მაგრამ მოგვიანებით ის პოლიციამ დააპატიმრა, როგორც ქურდობაში ეჭვმიტანილი. ინციდენტის შედეგად პენსიონერს რამდენიმე ნეკნი გაებზარა, ასევე ნაკაწრები და დაჟეჟილობები მიიღო.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

# ციხის ზედამხედველმა შეყვარებული ღალატში ამხილა და მოკლა



ამერიკის ნიუ-ჯერსის შტატში ციხის ზედამხედველმა თავისი მეგობარი გოგონა და მისი საყვარელი მას შემდეგ დახოცა, რაც შეიტყო, რომ მათ წმინდა ვალენტინის დღე ერთად გაატარეს.

ციხის 23 წლის თანამშრომელ ჯონ მენენდესს 40 წლის უკრაინელების ანი შპილბერგისა და ლუიზა შინკარევსკის მკვლელობა ედება ბრალად. ლუიზას ცხედარი ავტოსადგომზე იქნა აღმოჩენილი. ქალი თავში ცეცხლსასროლი იარაღიდან გასროლის შედეგად მიყენებული ჭრილობისგან გარდაიცვალა. იმავე საღამოს ანის ცხედარი მანქანაში აღმოაჩინეს. დანაშაულის ადგილზე ეგდო „გლოკის“ პისტოლეტი, რომელიც ჯონიზე იყო გაფორმებული.

მკვლელობიდან გარკვეული დროის შემდეგ მენენდესი პოლიციის განყოფილებაში მივიდა, ჩადენილი დანაშაული აღიარა და დაპატიმრება მოითხოვა. ხელისუფლების მიერ გავრცელებული ინფორმაციით, ჯონი ამტკიცებდა, რომ თავისი მეგობარი გოგონა, ანი, გაცეცხლებულმა იმის გამო მოკლა, რომ მან ლუიზასთან უღალატა და მის ზარებს არ პასუხობდა.

– ეს სიგიჟეა, ვერ დამიჯერებია, რომ ეს მე გავაკეთე, – განუცხადა ჯონიმ ხელისუფლების წარმომადგენლებს. სწორედ მან მიუთითა სამართალდამცავებს, სად მდებარეობდა ავტომობილი, რომელშიც ანის ცხედარი იყო. მომხდარზე გამოძიებაა დაწყებული, მამაკაცი კი გირაოთი გათავისუფლების უფლების გარეშე საპატიმროშია მოთავსებული.

# გოგი ალექსი-მესხიშვილი 80 წლისაა

გამოჩენილი ქართველი მხატვარი გოგი ალექსი-მესხიშვილი იუბილარია. მას 80 წელი შეუსრულდა. არქიტექტორების ოჯახში დაბადებულმა ხელოვანმა თავისი პროფესიაც ხელოვნებას დაუკავშირა და ეს არავის გაჰკვირვებია. სხვადასხვა წელს ის იყო რუსთაველის თეატრისა და სახელმწიფო ოპერის მთავარი მხატვარი. მან შექმნა დეკორაციები და კოსტიუმები ასობით წარმოდგენისთვის მთელ მსოფლიოში. მისი ნამუშევრები წარმოდგენილია ნიუ იორკის „მეტროპოლიტენ ოპერაში“, მოსკოვის „დიდ თეატრში“, მოსკოვის სამხატვრო თეატრში, ვენეციის „ლა ფენიჩეში“, ბოლონიის „ტეატრო კომუნალეში“, მიუნჰენის „ბავარიის სახელმწიფო ოპერის თეატრში“, „სანტა მარინის“ თეატრში ბუენოს აირესში, კიროვის ოპერის თეატრში, დიუსელდორფის დრამატულ თეატრში, ბორდოს ნაციონალური ოპერის თეატრში, პარიზის „შატლეში“, ისრაელის ნაციონალურ თეატრში „ჰაბიმა“, შექსპირის თე-



ატრში ვაშინგტონში, ვაშინგტონის „სინეტიკ თეატრში“, ჰელსინკის „ფინეთის ეროვნულ თეატრში“, რიგის „ლატვიის სახელმწიფო თეატრში“, მოსკოვის „პუშკინის თეატრში“, მოსკოვის „ვახტანგოვის თეატრში“, მოსკოვის „რაიკინის თეატრში“, ნოვოსიბირსკის ოპერისა და ბალეტის თეატრში...

იუბილარი ხელოვანი მრავალი ჯილდოსა და სიგელის მფლობელია. მას მიღებული აქვს საბჭოთა კავშირის სახელმწიფო პრემია, ზედიზედ სამი ჯილდო „წლის საუკეთესო ნამუშევრებისათვის“, „საუკეთესო წარმოდგენა“ ედინბურგის საერთაშორისო ფესტივალზე „დონ ჟუანი“, პარიზი „ფელიქსი“, ბერლინის საერთაშორისო კინოფესტივალზე სერგო ფარაჯანოვის ფილმ „აშიკ-კერიბის“ მხატვრული გაფორმებისათვის, კრიტიკოსთა ჯილდო ედინბურგის საერთაშორისო ფესტივალზე სპექტაკლისთვის „ზაფხულის ღამის სიზმარი“, „წლის საუკეთესო სცენოგრაფიული ნამუშევარი“ სპექტაკლისთვის „ქალი გველი“, „ელენ ჰაიესის პრიზი“ საუკეთესო წარმოდგენისთვის ვაშინგტონში, სინეტიკ თეატრში გაფორმებული სპექტაკლისთვის „ჰამლეტი – სიჩუმე მხოლოდ“.

გოგი ალექსი-მესხიშვილი არის რუსეთის სახელმწიფო ხელოვნების აკადემიის საპატიო წევრი, თბილისის საპატიო მოქალაქე. მისი ფერწერა, კოლაჟები და თეატრალური ესკიზები წარმოდგენილია მსოფლიოს სხვადასხვა გალერეაში, მუზეუმებსა და კერძო კოლექციებში.

მან წარადგინა საქართველო ვენეციის ბიენალეზე, შემდეგ კი – პრაღის კვადრინალეზე. იყო მიწვეული პროფესორი ამერიკის შეერთებულ შტატებში დარტმუტ კოლეჯში და მიღებული აქვს „კოლეჯის საუკეთესო პედაგოგის ჯილდო“. მისი ბოლო წლების პროექტებია ლონდონში რივერსაიდ სტუდიოსათვის „ჰამლეტი“, „სამი და“, პროკოფიევის „მოთამაშე“, ბერლიოზის „ბენვენუტო ჩელინი“ მეტროპოლიტენ ოპერისთვის, ბულგაკოვის „ოსტატი და მარგარიტა“ ვაშინგტონის სინეტიკ თეატრისათვის, ჩაიკოვსკის „მაზეპა“ მოსკოვის დიდი თეატრისათვის, შოსტაკოვიჩის „ცხვირი“ ბარდ კოლეჯის ფესტივალისთვის, მაქს ფრიშის „ბიდერმანი და ცეცხლის წამკიდებელნი“ რუსთაველის თეატრისათვის, შექსპირის „ქარიშხალი“ მოსკოვის თეატრისათვის „ეტ ცეტერა“, გარსია ლორკას „ბერნარდა ალბას სახლი“ სანკტ-პეტერბურგის დიდი დრამატული თეატრისათვის, შექსპირის „შეცდომათა კომედია“ მოსკოვის თეატრისათვის „ეტ ცეტერა“, ჟორდი გალსერანის „გრონჰოლმის მეთოდი“ მარჯანიშვილის თეატრში, ზაქარია ფალიაშვილის „აბესალომ და ეთერი“ თბილისის ოპერის თეატრში.

იუბილარი ხელოვანის ნამუშევართა გამოფენები მოეწყო სანკტ-პეტერბურგის, მოსკოვის, გერმანიის, ჩილეს, საფრანგეთის, ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო თეატრალურ მუზეუმებში.

გოგი ალექსი-მესხიშვილმა დააარსა „რუსთაველის თეატრი – გოგი მესხიშვილის თანამედროვე დიზაინის სკოლა“, მოაწყო პერსონალური გამოფენა საქართველოს ეროვნულ გალერეაში, მიიღო პეტრე ოცხელის პრემია, პრემია „საუკუნის სახელი“, შოთა რუსთაველის სახელობის პრემია. არის თბილისის საპატიო მოქალაქე, საქართველოს სახალხო მხატვარი და რუსეთის ხელოვნების აკადემიის საპატიო წევრი.

2019 წელს გოგი ალექსი-მესხიშვილის თანამედროვე თეატრალური მხატვრობის სკოლის სტუდენტებმა პრაღის კვარდინალეზე მთავარი პრიზი მოიპოვეს.

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**

## მალამო მენტორი პირველი

საუკეთესო, უნიკალური, ეფექტური, ტრადიციული გამოცდილების მქონე ბუნებრივი სამკურნალო მცენარეებისგან დამზადებული სამკურნალო საშუალება.

მალამო მენტორი პირველი გამოიყენება შემდეგი დაავადებების სამკურნალოდ: რადიკულიტი, ართროზი, პოდაგრა, სახსრებში მარილების დაგროვება, სახსრების ანთება, ნიკრისის ქარი, ფრჩხილების სოკოვანი დაავადება. მკურნალობისას თანდათან მცირდება ტკივილები წელზე, სახსრებზე. მალამო უნდა შეიზილოთ მტკივნეულ ადგილებში დღეში ორჯერ.

## მალამო მენტორი ხუთი

საუკეთესო, უნიკალური, ეფექტური, ტრადიციული გამოცდილების მქონე ბუნებრივი სამკურნალო მცენარეებისგან დამზადებული სამკურნალო საშუალება.

მალამო მენტორი ხუთი გამოიყენება შემდეგი დაავადებების სამკურნალოდ: ქუსლების (გარქოვანება და ნახეთქები), ბუასილის კვანძების, ფსორიაზის სამკურნალოდ. მალამო გამოყენების შემდეგ ხსნის დაჭიმულობას წელიდან მუხლამდე, აუმჯობესებს სისხლის მიმოქცევას კაპილარებში, ხსნის სიმძიმეს, წვას. მკურნალობისას ქრება ტკივილები. მალამო უნდა შეიზილოთ მტკივნეულ ადგილებში დღეში ორჯერ.

## მენტორი შვიდი — სპრეი ტუბი

გრიპის, ალერგიისა და გაციებისას ცხვირის არხებიდან გამონადენის შესაჩერებლად შექმნილია ანტიალერგიული სამკურნალო მცენარეებისგან დამზადებული საუკეთესო ეფექტური სამკურნალო საშუალება „მენტორი 7“. დაფასოებულია სპრეი ტუბებში.

მიღების წესი: კარგად გათავისუფლდეს ცხვირის არხები გამონადენისაგან, წამალი შევისხუროთ 2-3-ჯერ დღე-ღამის განმავლობაში. წამლის მიღების შემდეგ უმჯობესდება სუნთქვა, მცირდება და თანდათან წყდება გამონადენი ცხვირიდან.

☎ 599-73-48-21; 598-73-48-21.

## განცხადებები

● სტომატოლოგიური მომსახურება ბინაზე გამოძახებით. მხოლოდ მოსახსნელი საღეჭი პროთეზები იტალიური, რუსული კბილებით. გარანტიით. ტელ: 555-72-64-98.

● 45-წლიანი გამოცდილებითა და შედეგების სრული გარანტიით გთავაზობთ შემდეგ მომსახურებას – ფოტოსურათით მოგიხსნით: ჯადოთვალი-წყევლის ზემოქმედებას, პათოლოგიურ სიმთვრალეს, აგრესიას, აკვიატებას, დეპრესიას, შებოჭილობას, ეჭვიანობას, მოზარდებში პრობლემებს, თვითმკვლელობის სურვილს, კოშმარულ სიზმრებს, ძილში შფოთს, გაუმართლებლობას, ოჯახურ გაუგებრობას, ოჯახის შესაქმნელად გაგიხსნით ბედს, ჩაკეტილ მამაკაცობას, სექსუალური კონტაქტის შიშსა და სხვა პრობლემებს. მის.: წერეთლის გამზირი №57. ფირმა „იადიგარ დაუდის“ დირექტორი, მკურნალი-პარაფსიქოლოგი ნანა ქიბროწაშვილი. ტელ: 599-49-84-23.

# დედამ ბავშვები ფანჯრიდან გადაყარა და ცეცხლში დაღუპვას გადაარჩინა

თურქეთის ქალაქ სტამბოლში ქალმა ბავშვები ცეცხლში დაღუპვას მათი ფანჯრიდან გადაყრით გადაარჩინა. ამის ამსახველი თვითმხილველის მიერ გადაღებული ვიდეო ერთ-ერთმა ადგილობრივმა გამოცემამ გამოაქვეყნა.

ინციდენტი ესენლერის რაიონში მოხდა. მრავალბინიანი სახლის მესამე სართულზე ხანძარი გაჩნდა. ვიდეოჩანაწერში ჩანს, თუ როგორ ყრის დედა ფანჯრიდან რიგრიგობით თავის ოთხ შვილს, ხოლო ქვევით მდგომი მოხალისეები მათ გაჭიმული ზეწრის დახმარებით იჭერენ. გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ბავშვები არ დაშავებულან.




ერთ-ერთი მეზობლის თქმით, ბინიდან ჯერ შავი ბოლი გამოვარდა, შემდეგ კი ბავშვების ყვირილი გაისმა.

– ჩვენ ზეწრები გავჭიმეთ, როგორც კი მივხვდით, რომ ბინაში ხანძარი იყო, – იხსენებს თვითმხილველი, – ქალმა ბავშვების ძირს გადმოყრა დაიწყო. ზეწრების დახმარებით ოთხივე ბავშვის დაჭერა მოვახერხეთ. მოგვიანებით მეხანძრეებმა ცეცხლი ჩააქრეს. ხანძრის გაჩენის მიზეზი უცნობია.

# მამაკაცმა ცოლისა და ქალიშვილის გადასარჩენად ლეოპარდი შიშველი ხელებით მოკლა

ინდოეთის კარნატაკის შტატში მამაკაცმა იმისთვის, რომ მეუღლე და ქალიშვილი გადაერჩინა, ლეოპარდი შიშველი ხელებით მოკლა.



მტაცებელი ხალხს თავს იმ დროს დაესხა, როდესაც რაჯაგოპარ ნაიკი ცოლთან და ქალიშვილთან ერთად ქორწილიდან სახლში ველოსიპედით ბრუნდებოდა. თავდაპირველად ლეოპარდი ქალს გაეკიდა და შეეცადა, მისთვის კბილები ფეხში ჩაევლო. შედეგად სამივე ველოსიპედიდან გადმოვარდა.

მამაკაცმა მტაცებელს ხელი ჰკრა და თავის მეუღლეს მოაშორა, რის შემდეგაც ცხოველი უკვე მას დაესხა თავს.

– ის ზედ შემომახტა და შეეცადა, ხელებსა და კისერზე ეკბინა, – ყვება მამაკაცი, – თავს ხელებით ვიცავდი, მაგრამ შემდეგ მოვახერხე და ის მიწაზე დავაგდე, შემდეგ კი მუხლი დავაჭირე და მოვკალი.

ამ ორთაბრძოლის შედეგად ინდოელმა დაზიანებები მიიღო თავზე, ხელებსა და კისერზე.

მამაკაცი საავადმყოფოში გადაიყვანეს. სატყეო მეურნეობის წარმომადგენლები ამტკიცებენ, რომ უფრო ადრე ამავე ლეოპარდის თავდასხმის შედეგად, სულ მცირე, სამი ადამიანი დაშავდა.

# მოცეკვავე მეღდამ მძარცველის თავდასხმა მოიგერია

ბრაზილიის პარანაგუის მუნიციპალიტეტის მკვიდრმა მედდამ გააგდო მძარცველი, რომელიც მის სახლში იმ დროს შეიჭრა, როდესაც ის ვიდეოკამერის წინ ტვერკს ცეკვავდა. ამის ამსახველი ვიდეო ერთ-ერთმა ამერიკულმა გამოცემამ გამოაქვეყნა.

ანხელა გონსალვესი სახლში იმყოფებოდა და ვიდეოზე იწერდა საცეკვაო მოძრაობებს, რათა შემდეგ ის ინსტაგრამში გამოექვეყნებინა. ვიდეოჩანაწერში ჩანს, რომ მოულოდნელად ეზოში მძარცველი შედის.

მამაკაცი გონსალვესს მიეპარა და მისი დაჭერა ცადა. ქალი არ დაიბნა და დაუპატიჟებელ სტუმარს ცემა დაუწყო. მამაკაცი გაიქცა, ხოლო სახლის პატრონი მას გაეკიდა.

– შევშინდი და ისე დავიწყე მოქცევა, თითქოს მას ვიცნობდი, სანამ ის ჩემს დაჭერას არ შეეცადა. ამის შემდეგ ჩემში თვითგადარჩენის ინსტინქტი ამოქმედდა და ცემა დავუწყე ისე, რომ ჩემზე თავდასხმის ყოველგვარი სურვილი გავუქრე, – დაწერა ვიდეოს კომენტარში გონსალვესმა.



ქალის განმარტებით, ის სახლში თავის 11 წლის გოგონასთან ერთად იმყოფებოდა. მას შემდეგ, რაც დამნაშავე მიიმალა, გონსალვესმა მომხდარის თაობაზე პოლიციაში განაცხადა.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

სამგლოვიარო და მისალოცი განცხადებები მიიღება
ტელ.: 599-532-690 – 12-დან 17 საათამდე

# კორღალიძემ ჭიაბრიშვილს აჯობა

**საბურთალო-ლოკომოტივი 2:0**
**თბილისი. მიხეილ მესხი**
**1:0 ჯგერენაია (38), გოჩოლეიშვილი (90)**

**საბურთალო:** გოშაძე, მალი, ლაცაბიძე, ჯგერენაია, კაკუბავა, ი.ტაბატაძე (გოჩოლეიშვილი 76), ძებნიაური, ტერა, თ.ტაბატაძე (ცნობილაძე 90), მანდრიჩენკო (ლ.ნონიკაშვილი 69), გულიაშვილი (შულაია 76)

**ლოკომოტივი:** მამარდაშვილი, მჭედლიშვილი (გაბაძე 46), ანდრონიკაშვილი (ჭიაბრიშვილი 82), სანდოხაძე, უბილავა, დარცმელია (იმრანი 46), სამურკასოვი, შონია, კახაბრიშვილი (გავაშელიშვილი 75), თ.კირკიტაძე (იაკობიძე 64), სიხარულიძე



ეროვნული ლიგის პირველი ტურის ბოლო შეხვედრა მიხეილ მესხის სახელობის არენაზე საბურთალოსა და ლოკომოტივს შორის გაიმართა. დედაქალაქური დერბის გარდა, ეს იყო ამ გუნდების ყოფილი მწვრთნელების – ლევან კორღალიძისა და გიორგი ჭიაბრიშვილის დაპირისპირებაც.

მატჩი მასპინძელთა გამარჯვებით დასრულდა. ლევან კორღალიძის გუნდმა ანგარიში პირველი ნახევრის მიწურულს კლუბის ახალწვეულის, გიორგი ჯგერენაიას მიერ გატანილი გოლით გახსნა.

მიუხედავად გაშვებული გოლისა, შეხვედრის მეორე ნახევარი ლოკომოტიველთა აქტიურობით არ გამოირჩეოდა. ამ მოცემულობით თამაშის მიწურულს ისევ მასპინძლებმა ისარგებლეს და 90-ე წუთზე საბურთალოს უპირატესობა ორამდე გაიზარდეს. ამჯერად გიორგი მამარდაშვილის კარი შეცვლაზე შესულმა გიორგი გოჩოლეიშვილმა აიღო.

საბურთალო ერთადერთი გუნდია, რომელმაც ეროვნული ლიგის პირველ ტურში 2 გოლის გატანა მოახერხა.

**მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა**

## შედეგები

**1 მარტი**
**ფეხბურთი**

### ინგლისი. პრემიერლიგა

ევერტონი-საუთჰემპტონი .............. 1:0

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.სიტი | 26 | 19 | 5 | 2 | 52-16 | 62 |
| 2.მანჩესტერი | 26 | 14 | 8 | 4 | 53-32 | 50 |
| 3.ლესტერი | 26 | 15 | 4 | 7 | 45-30 | 49 |
| 4.ვესტ ჰემი | 26 | 13 | 6 | 7 | 40-31 | 45 |
| 5.ჩელსი | 26 | 12 | 8 | 6 | 41-25 | 44 |
| 6.ლივერპული | 26 | 12 | 7 | 7 | 47-34 | 43 |
| 7.ევერტონი | 25 | 13 | 4 | 8 | 38-33 | 43 |
| 8.ტოტენჰემი | 25 | 11 | 6 | 8 | 41-27 | 39 |
| 9.ასტონ ვილა | 24 | 12 | 3 | 9 | 38-26 | 39 |
| 10.არსენალი | 26 | 11 | 4 | 11 | 34-27 | 37 |
| 11.ლიდსი | 26 | 11 | 2 | 13 | 43-44 | 35 |
| 12.ვულვზი | 26 | 9 | 7 | 10 | 27-33 | 34 |
| 13.კრ.პალასი | 26 | 9 | 6 | 11 | 29-43 | 33 |
| 14.საუთჰემპტონი | 26 | 8 | 6 | 12 | 31-44 | 30 |
| 15.ბარნლი | 26 | 7 | 7 | 12 | 18-34 | 28 |
| 16.ბრაიტონი | 26 | 5 | 11 | 10 | 26-33 | 26 |
| 17.ნიუკასლი | 26 | 7 | 5 | 14 | 27-44 | 26 |
| 18.ფულემი | 26 | 4 | 11 | 11 | 21-32 | 23 |
| 19.ვესტ ბრომვიჩი | 26 | 3 | 8 | 15 | 20-55 | 17 |
| 20.შეფილდი | 26 | 3 | 2 | 21 | 15-43 | 11 |

### გერმანია. მე-2 ბუნდესლიგა

ზ.პაული-ჰამბურგი ........................ 1:0

### ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი

რეალი-სოსიედადი .......................... 1:1

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ატლეტიკო | 24 | 18 | 4 | 2 | 47-16 | 58 |
| 2.ბარსელონა | 25 | 16 | 5 | 4 | 55-22 | 53 |
| 3.რეალი | 25 | 16 | 5 | 4 | 43-20 | 53 |
| 4.სევილია | 24 | 15 | 3 | 6 | 34-18 | 48 |
| 5.სოსიედადი | 25 | 11 | 9 | 5 | 42-21 | 42 |
| 6.ბეტისი | 25 | 12 | 3 | 10 | 33-38 | 39 |
| 7.ვილიარეალი | 25 | 8 | 13 | 4 | 33-27 | 37 |
| 8.გრანადა | 25 | 9 | 6 | 10 | 31-42 | 33 |
| 9.ლევანტე | 25 | 7 | 11 | 7 | 35-34 | 32 |
| 10.ბილბაო | 24 | 8 | 6 | 10 | 34-28 | 30 |
| 11.სელტა | 25 | 7 | 9 | 9 | 30-37 | 30 |
| 12.ოსასუნა | 25 | 7 | 7 | 11 | 23-33 | 28 |
| 13.ხეტაფე | 25 | 7 | 6 | 12 | 20-30 | 27 |
| 14.ვალენსია | 25 | 6 | 9 | 10 | 30-35 | 27 |
| 15.კადისი | 25 | 6 | 7 | 12 | 21-41 | 25 |
| 16.ალავესი | 25 | 5 | 7 | 13 | 20-39 | 22 |
| 17.ეიბარი | 25 | 4 | 10 | 11 | 20-28 | 22 |
| 18.ვალიადოლიდი | 25 | 4 | 10 | 11 | 23-36 | 22 |
| 19.ელჩე | 24 | 4 | 9 | 11 | 21-36 | 21 |
| 20.უესკა | 25 | 3 | 11 | 11 | 22-36 | 20 |

### ესპანეთი. სეგუნდა დივიზიონი

მირანდესი-მალაგა ........................ 1:0

### იტალია. სერია ბ

ვენეცია-რეჯანა ............................ 2:1

### პორტუგალია. პრიმერა დივიზიონი

ბენფიკა-რიუ ავე ............................ 2:0
მორეირენშე-ბელენენსეში .............. 2:2

### ბელგია. ა დივიზიონი

ლეუვენი-ანტვერპენი ..................... 2:0

### საბერძნეთი. სუპერლიგა

ვოლოსი-ოლიმპიაკოსი .................... 1:2

### დანია. სუპერლიგა

სონდერიისკე-ლუნგბიუ ................... 1:4

**მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა**

# მამაკაცი პიცის სიყვარულმა მილიონერად აქცია



ამერიკის მასაჩუსეტსის შტატის ქალაქ საუტ-ჰედლის მცხოვრებმა სადილად პიცა შეარჩია და მილიონი დოლარის ჯეკპოტი მოხსნა.

თომას ნაპიორკოვსკი პიცას ირჩევდა, როდესაც მისი ყურადღება მიიპყრო ლატარიის ბილეთების ავტომატმა. მან მომენტალური ლატარიის დიამონდ მილიონის ბილეთი შეიძინა და მალევე მილიონერი გახდა.

გათამაშების გამარჯვებულის თქმით, ის მოგებული თანხით, სხვადასხვა საჭირო ნივთთან ერთად, მეუღლისთვის ახალი ავტომობილის ყიდვას აპირებს.

## კროსვორდი ბ




**შვეულად:** 1. ინდიელთა სოფლების სახელწოდება მექსიკაში; 2. პორტუგალიური ღვინო; 3. ქართული ხალხური ცეკვა; 4. აეროპორტი კაიროში; 6. გუნდური შეჯიბრება მძლეოსნობასა და ცურვაში; 8. რკინიგზის ხაზის სიგრძის საზომი ერთეული; 11. ბროშში, ბეჭედში ჩასმული მსხვილი ბრილიანტი; 12. ტვინის შერყევა; 16. იტალიის ფეხბურთელთა გუნდი; 17. გერმანული ავტომრბოლელი; 18. უზენაესი ღვთაება ბერძნულ მითოლოგიაში.

**თარაზულად:** 1. საძინებელი სარკინიგზო ვაგონის გამომგონებელი ამერიკელი მრეწველი; 5. ტვირთბრუნვით ყველაზე დიდი ნავსადგური საბერძნეთში; 7. დაჩეჩილი მატყლი წმინდა შალის ქსოვილის დასამზადებლად; 9. პოპულარული ბაზარი ბარსელონაში; 10. საქართველოს ყოფილი პრემიერ-მინისტრი; 13. ფულის ერთეული მონღოლეთში; 14. ამერიკის სტეპებში გავრცელებული მგელი; 15. გემის მზარეული; 19. ქართველი სუმოისტი; 20. ტვირთის მცირე სიმაღლეზე ასაწევი მექანიზმი; 21. ქართველი მხატვარი, გობელენისტი; 22. ხუმარა, ოხუნჯი ადამიანის ძველი ქართული სახელწოდება.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. აფინაჟი; 2. ჯინჯილა; 3. ავრორა; 4. იმოლა; 5. ფარავანი; 7. ძმა; 11. რუტერი; 15. მალხაზი; 16. დასინი; 17. თეთრა; 18. კლონი; 20. ხავსი; 22. ფიჯი.

**თარაზულად:** 6. ფერაძე; 8. ლიეტუვა; 9. შტოპორი; 10. ნუგბარი; 12. ჰერში; 13. აზოვი; 14. მარტვილი; 19. კალმახი; 21. პეტეფი; 23. ლექსი; 24. არემჯი; 25. აზბესტი; 26. ვირჯინია.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. ჰუნდაი; 2. მწნილი; 3. ჰომეროსი; 4. ფიგარო; 6. ხულიგანი; 8. ანიელი; 11. ბეისბოლი; 12. მაჩაიძე; 16. თაობა; 17. ქანდა; 18. გორდი.

**თარაზულად:** 1. ჰეტმანი; 5. ფაცხა; 7. სომელიე; 9. დუაიენი; 10. ფაქტორი; 13. ლუქსორი; 14. ბესონი; 15. იავა; 19. ფარგალი; 20. სახარება; 21. ნაბელლავი; 22. შიიზმი.

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

3 მარტი

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 3.3268

ევრო — 4.0101

დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი — 4.6449

100 რუსული რუბლი — 4.4917

## ამინდის პროგნოზი 3 მარტისათვის




## ზიდანი: „მნიშვნელოვანი ქულები დავკარგეთ“



მადრიდის რეალის მთავარმა მწვრთნელმა ზინედინ ზიდანმა რეალ სოსიედადთან მატჩის შემდეგ განაცხადა, რომ მისი გუნდი გამარჯვებას იმსახურებდა და მათ ბევრი მომენტი ვერ გამოიყენეს.

ზიდანის თქმით, რეალმა საკმაოდ მნიშვნელოვანი ქულები დაკარგა:

— ვფიქრობ, საკმაოდ ბევრი საგოლე მომენტი შევქმენით იმისთვის, რომ გამარჯვება მოგვეპოვებინა, მაგრამ, სამწუხაროდ, ამის გაკეთება ვერ მოვახერხეთ და ეს ქულების დაკარგვა, შესაძლოა, ძვირად დაგვიჯდეს.

## კლოპი: „ჩელსის აუცილებლად უნდა მოვუგოთ“

ლივერპულის მთავარმა მწვრთნელმა იურგენ კლოპმა ჩელსისთან დაპირისპირებაზე ისაუბრა და თქვა, რომ მისმა გუნდმა მხოლოდ გამარჯვებაზე უნდა ითამაშოს და სხვა შედეგი მისთვის დამაკმაყოფილებელი არ იქნება:



— ჩელსის უნდა მოვუგოთ და ამით ყველას დავუმტკიცებთ, რომ ჩვენი წინა წაგებები მხოლოდ შემთხვევითობა იყო. გულშემატკივარი უნდა გავახაროთ და ამისთვის ყველაფერს გავაკეთებთ.

**მოამზადა ბექა გოგინაშვილმა**

## რამდენიმე ათეულ დოლარად ნაყიდი თასი ნახევარ მილიონად შეაფასეს



ამერიკის კონექტიკუტის შტატში აღმოჩნდა მინის დინასტიის დროინდელი უიშვიათესი ფაიფურის თასი, რომელიც ნახევარ მილიონ დოლარად შეფასდა.

ნივთის მფლობელმა არაფერი იცოდა მისი ნამდვილი ღირებულების თაობაზე და ის სულ რაღაც 35 დოლარად გაყიდა. მყიდველი, რომლის ვინაობას არ ასახელებენ, ეჭვობდა, რომ მისი ნამდვილი ღირებულება გაცილებით მაღალი იყო. მას ვაჭრობა არ დაუწყია, მფლობელის მიერ მოთხოვნილი თანხა გადაიხადა და მალევე მის შესაფასებლად სპეციალისტებს მიმართა.

ექსპერტმა მის მიერ შეძენილ ფაიფურის თასში ამოიცნო ნივთი, რომლის დამზადება ჩინეთის იმპერატორ იუნლეს სამეფო სახლმა შეუკვეთა, რომელიც ქვეყანას 1403 წლიდან 1424 წლის ჩათვლით მართავდა. დღემდე ითვლებოდა, რომ მხოლოდ ექვსი ასეთი თასი იყო შემორჩენილი. ერთ-ერთი მათგანი ტაიპეის საიმპერატორო სასახლის მუზეუმში ინახება, კიდევ ორი – ლონდონის მუზეუმებში. ახლა გასარკვევია, თუ როგორ აღმოჩნდა აღნიშნული ძვირფასი ნივთი აშშ-ში. ფაიფურის თასს ნიუ იორკში სოტბის აუქციონზე გამოიტანენ გასაყიდად.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## იუმორი

მამაკაცი ქალს ეკითხება:

— ძვირფასო, ჩაი, ყავა, ღვინო?

— რა საჭიროა ეს ყველაფერი, მე შენთან უკვე საკმაოდ აღგზნებული მოვედი...

●●●

წითელქუდა:

— ბებია, რატომ გაქვს ასეთი დიდი ყურები?

— ნიღაბი, რომ საიმედოდ ვატარო...

●●●

მამაკაცი მღვდელს ეკითხება:

— მამაო, მირჩიე, მოვიყვანო ცოლი თუ არა?

— შვილო ჩემო, როგორ მოიქცევი, თუ კოლო გიკბენს?

— კოღოს მოვკლავ.

— ახლა წარმოიდგინე, რომ უფსკრულის თავზე გაჭიმულ თოკზე მიდიხარ და ამ დროს გიკბინა კოღომ, მაშინ როგორ მოიქცევი?

— თავს შევიკავებ, მოვითმენ.

— ჰოო, მაშინ ცოლი შეირთე. მხოლოდ გახსოვდეს, რომ მთელი ცხოვრება მოგიწევს თოკზე სიარული.

●●●

სააბაზანოდან გამოსული ცოლი სარკის წინ საკუთარ თავს ათვალიერებს და შემდეგ ქმარს ეკითხება:

— ძვირფასო, გულახდილად მიპასუხე, კოსმეტიკის გარეშე საშინლად გამოვიყურები?

— თუ გულახდილად გინდა, გეტყვი, კოსმეტიკითაც ძალიან მაშინებ.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## „ჩემი ცოლის დაქალები“ 13 მარტიდან დაიწყება




ქართული სერიალი „ჩემი ცოლის დაქალები“ რიგით მე-17 სეზონს 13 მარტიდან დაიწყებს.

ტელეკომპანია „ფორმულას“ ეთერში „ფორმულა კრეატივის“ სერიალი ათასობით მაყურებელს კვლავ გააერთიანებს.

„ჩემი ცოლის დაქალების“ გადასაღები მოედნიდან გავრცელებული ფოტოებით ირკვევა, რომ მაყურებელი, ბევრ ახალ და საინტერესო პერსონაჟთან ერთად, ძველ და საყვარელ პერსონაჟებსაც შეხვდება.

## ლევან ღვინჯილია ჟურნალისტებს მიმართავს



ენათმეცნიერი ლევან ღვინჯილია მიმართავს ჟურნალისტებსა და „პოლიტიკოსებს“, გაითვალისწინონ მეტად მნიშვნელოვანი საკითხი:

— მოგმართავთ იმ ჟურნალისტებსა და „პოლიტიკოსებს“, რომლებმაც დაამკვიდრეთ ტერმინი – „გავრილოვის ღამე“: იმაზე თუ გიფიქრიათ, რომ ამით უკვდავყოფთ იმ ვიღაც გავრილოვის სახელს?

ადვილად მისახვედრია, რომ „ბართლომეს ღამე“ გაგიგონიათ და ამის კალკირებით შექმენით „გავრილოვის ღამე“, მაგრამ, არა მგონია, ეს დიდად მოსაწონი „მიგნება“ იყოს, რამდენადაც ამას ახლავს ის მეორე, ნეგატიური შედეგი, რაზეც აქვე უკვე მოგახსენეთ.

გავრილოვის სახელის უკვდავყოფა ჩვენი, ქართველების, ზეამოცანა არ უნდა იყოს. დაფიქრდით ამაზე! თუ მაინცდამაინც კალენდარული მითითება გჭირდებათ, შეგიძლიათ, თარიღი დაასახელოთ – 20 ივნისის და არა „გავრილოვის ღამე“. ნუ უკვდავყოფთ ვიღაც გავრილოვის გვარს საქართველოში. ეს არაფერს მოგვცემს.

## დათო ოქიტაშვილი ახალ თანამდებობაზე დაინიშნა



საქართველოს კულტურის პალატის პრეზიდენტი დათო ოქიტაშვილი ახალ თანამდებობაზე დაინიშნა:

— ჩემს ცხოვრებაში ახალი ეტაპი დაიწყო, რომელიც ჩემთვის, როგორც ამ ქვეყნის შვილისთვის, ძალზე საამაყოა და, ამავდროულად, დიდ პასუხისმგებლობას მაკისრებს.

დღეიდან, საქართველოს კულტურის პალატის პრეზიდენტის პოზიციის პარალელურად, დავინიშნე საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სოციალურ საკითხთა და კულტურის დეპარტამენტის თვითშემოქმედებითი კოლექტივების განვითარების ცენტრის ხელმძღვანელად. ბედნიერი ვარ, რომ შეხება მექნება ჩვენს საამაყო სტუდენტ ახალგაზრდებთან, რომლებიც საქართველოს ახალი ისტორიის ფურცელს წერენ. მადლობას ვუხდი გამოცხადებული ნდობისთვის საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორსა და უნივერსიტეტის ხელმძღვანელობას!

## გრიბოედოვის თეატრი სეზონს ორი პრემიერით გახსნის



ალექსანდრე გრიბოედოვის სახელობის სახელმწიფო თეატრი ახალ სეზონს ორი სპექტაკლის პრემიერით გახსნის.

თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელის ავთანდილ ვარსიმაშვილის გადაწყვეტილებით, პირველი აპრილიდან მაყურებელი, გრიბოედოვის თეატრის საყვარელ სპექტაკლებთან ერთად, ახალ წარმოდგენებსაც იხილავს.

პირველ აპრილს გრიბოედოვის თეატრი წარმოადგენს სპექტაკლს „სამი ჰალსტუხიანი და ანგელოზი“, 4 აპრილს კი მაყურებელი ნახავს მეორე საპრემიერო სპექტაკლს – „როცა ძალიან მოგენატრები“.

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**

## მებრძოლმა მამალმა პატრონი მოკლა

ინდოეთის ტელინგონის შტატში მებრძოლმა მამალმა პატრონს საზარდულში ჩაარტყა შვიდსანტიმეტრიანი მჭრელი დეზი, რომელიც მას ფეხზე ჰქონდა დამაგრებული, რის შედეგადაც მამაკაცი დაიღუპა.



გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, 45 წლის ტანუგულ სატიში ქალაქ ჯაგიტალში იმისთვის ჩავიდა, რომ მის საბრძოლო მამალს მონაწილეობა მიეღო მამლების ბრძოლაში. როდესაც მამაკაცმა ფრინველი რინგზე გაუშვა, მამალი შეფრთხიალდა და სწორედ ამ დროს დაჭრა პატრონი. სატიშმა სერიოზული ჭრილობა მიიღო და ბევრი სისხლი დაკარგა. დაშავებული საავადმყოფოში სასწრაფო დახმარების მანქანით გადაიყვანეს, მაგრამ მისი გადარჩენა ვერ მოხერხდა.

ადგილობრივი პოლიციის წარმომადგენლის განცხადებით, მამლების ბრძოლის ორგანიზატორები და მონაწილეები მამაკაცის დაღუპვის გამო პასუხისმგებლობას ვერ გაექცევიან. მათ საქმე არაგანზრახ მკვლელობის მუხლით აღძრეს. საბრძოლო მამალი პოლიციის განყოფილებაში გადაიყვანეს, სადაც ის სასამართლომდე დარჩება.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## ასტროპროგნოზი

### 3 მარტისათვის



**ვერძი** – დღე რთული იქნება. მოსალოდნელია კონფლიქტი საქმიან პარტნიორებთან. ემოციები შეიკავეთ. **კურო** – მომძლავრებული ენერგია დიადი საქმეებისკენ გიბიძგებთ. წარმატება გელით შემოქმედებით სფეროში. **ტყუპები** – გაისეირნეთ, ურთიერთობა დაამყარეთ ახალგაცნობილ ადამიანებთან. შესაძლოა, ვიღაც გავლენიან პირს თქვენი მფარველობის სურვილი გაუჩნდეს. **კირჩხიბი** – ეცადეთ, გარშემომყოფებს კომფორტი შეუქმნათ. იყავით დამთმობი და ლოიალური. **ლომი** – ფსიქოლოგიურ დაძაბულობას გრძნობთ. ერიდეთ საკუთარი აზრის კატეგორიულად გამოხატვას. **ქალწული** – პასიური დღეა. განმარტოება და საკუთარ თავში ჩაღრმავება გჭირდებათ. ნურაფერს დაგეგმავთ. **სასწორი** – იფრთხილეთ. ნერვებს ნუ აჰყვებით. ნებისმიერი გადაწყვეტილება სალი განსჯისა და ანალიზის შემდეგ მიიღეთ. **ღრიანკალი** – კეთილისმყოფელი პერიოდია ინტიმური შეხვედრებისა და საყვარელ ადამიანებთან ურთიერთობისათვის. **მშვილდოსანი** – გაერთეთ, დაისვენეთ, გადით ქალაქგარეთ. შეგიძლიათ, განწყობა ბაღში მუშაობითაც გამოიკეთოთ. ვარსკვლავები გწყალობენ. **თხის რქა** – შემოქმედებითი ჩანაფიქრის რეალიზაციისათვის შესაფერისი დღეა. სასიკეთოდ წაგადგებათ ასევე ფიზიკური დატვირთვა, ვარჯიში. **მერწყული** – ფინანსური ოპერაციები წარმატებული იქნება. ფულის გონივრულად დაბანდება კარგ მოგებას მოგიტანთ. **თევზები** – ზებუნებრივი ძალები გმფარველობენ. შემოსავალი საგრძნობლად გეზრდებათ. საქმიანი გარიგებებით კმაყოფილი დარჩებით.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

## კროსვორდი



**შვეულად:** 1. შვეიცარიაში მდებარე ევროპაში ყველაზე გრძელი სატრანსპორტო გვირაბი; 2. მხარე ბელგიაში; 3. ტვირთის შესანახი სათავსო გემზე; 4. მაღალყელიანი ფეხსაცმელი; 5. ამირანის პროტოტიპი აფხაზურ ფოლკლორში; 7. შიშველი სხეულის გამოსახულება სახვით ხელოვნებაში; 11. სატრფიალო სიუჟეტის ლექსი სპარსულ-ტაჯიკურ ფოლკლორში; 15. ოქროს ფერში ამოვლებული ძაფი; 16. მოდუღებული ტყემლის მზეზე გამშრალი თხელი ფირფიტა; 17. შვედური მსუბუქი ავტომობილი; 18. ერთ-ერთი პირველი კინოთეატრი თბილისში; 20. წყლის საქაჩი მოწყობილობა; 22. აფრიკული შხამიანი ბუზი.

**თარაზულად:** 6. კონტინენტებს შორის მოქცეული წყლის დიდი სივრცე; 8. უნაღდო ანგარიშსწორების ერთ-ერთი ფორმა საგარეო ვაჭრობაში; 9. რაიმე პროცესის, მოვლენის მამოძრავებელი ძალა; 10. არაგვის ერისთავთა რეზიდენცია დუშეთის რაიონში; 12. უოლტ დისნეის სრულმეტრაჟიანი მულტფილმი; 13. ხელოვნური სარწყავი არხების სახელწოდება შუა აზიაში; 14. ჩრდილო აფრიკის ძველი სახელწოდება; 19. ანგლიკანური ეკლესიის უმაღლესი სასულიერო პირი; 21. იმრე კალმანის ოპერეტა; 23. ტურინის „იუვენტუსის“ ფეხბურთელთა გუნდის მწვრთნელი; 24. შეწეული სტრიქონი ტექსტში; 25. მათემატიკის ნაწილი; 26. კათოლიკური ეკლესია.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*